ტელეფ. 6-60 წელიწადი 1913 მეხამე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 9 დეკემბერი № 153

# თემი

ორშაბათი 9 დეკემბერი № 153

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა უქმე დღეებს გარდა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

## მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის.

საპოლიტიკო და სალიტერატურო ორშაბათის გაზეთი

წელიწადი მეოთხე

## „თემი“

წელიწადი მეოთხე

რედაქციისა და კონტორის ბინა: ოლგას ქუჩა, სახლი დიასამიძისა, № 4

გაზეთი სდგას პარტიათა გარეშე. — გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წინა წლებში

ხელისმომწერელნი, რომელნიც გადიხდიან გაზეთის წლიურ ფასს, მიიღებენ საჩუქრად ახალგაზრდა მწერლის **გიორგი ქუჩიშვილის** ნაწერებს.

ფასი გაზეთისა: წლიურად 2 მ. 50 კაპ. ნახევარ წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა—ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская, 4, д. Діасамидзе Редакція газ „Теми“.

რედაქტორ გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე.

---

**მეორე პრემია** გაზ. „თემისა“—კ. მაყაშვილის ლექსთა კრებული დაურიგდება ხელის-მომწერლებს **საჩუქრად**.

---

### ქართული თეატრი

ტელეფონ № 795. წარმოდგენა № 31—8.

ხუთშაბათს 12 დეკემბერს 1913 წ.

## ბენეფისი მ. მდივანისა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ახალი მოძღვრება

დრამა „4“ მოქმ. და „7“ სურათად ბარეტისა. ახალი ტანისამოსი და დეკორაციები მხატვარი გ. ნალებოვის მიერ დახატული.

**მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი:** აბაშიძე, გარსიაშვილი, დავითაშვილი, თორიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, ქიქოძე, ჯავახიშვილი, ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი გომელაური, გუნია, ვარვარიძე, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, თუხარელი, იმედაშვილი, მესხი, ხონელი, სარაული, ფრანგიშვილი, ციციშვილი, შანშიაშვილი, ურუშაძე.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

ახალი დეკორაციები—განახლებული ტანისამოსი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

როჟისორი: ვ. შალიკაშვილი

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: მარია სტიუარტ, ჰამლეტი, სინათლე და სხ.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

---

### ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 9 დეკემბერს და ოთხშაბათს, 11 დეკემბერს

## სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ♦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე**

---

### ქართული თეატრი

ტელეფონი № 795. წარმოდგენა № 30—8.

კვირას, 15 დეკემბერს 1913 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

ნ. ჩხეიძის მონაწილეობით.

წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე.

## დამარცხებული რომი.

ტრაღედია 5 მოქმ. ალ. პაროდისა თარგმ. ვალ. შალიკაშვილისა.

ამ პიესისათვის შეკერილია ახალი ტანისამოსი და დახატულია ახალი დეკორაციები მხატვარი გ. ნალებოვის მიერ,

**მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი** თორიძე, მამულაშვილი, მაჭავარიანი, მდივანი, სინაურიძე, ქიქოძე, ქოდალაშვილი, შოთაძე, ჩხეიძე ბ-ნნი: არადელ-იშხნელი ბარველი, გომელაური, გუნია, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, ციციშვილი, ხონელი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: ახალი მოძღვრება, მარია სტიუარტ, ჰამლეტი სინათლე და სხ.

12 დეკემბერს ბენეფისი მ. მდივანისა წარმოდგენილი იქნება: „ახალი მოძღვრება“.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

---

### ახალი კლუბი

ორშაბათს, 9 დეკემბერს

## სიმფონიური კონცერტი

ალექსანდრე ზაროვსკის

მონაწილეობით.

სხვათა შორის აღსრულებული იქნება: 2 კონცერტი (როიალზე) რახმანინოვისა და კონცერტი (როიალზე) ჩაიკოვსკისა ორკესტრის აკომპანიმენტით.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

ფასები ადგილებისა: პარტერში: 3 მან-ან—70 კაპ.

გალერეაში: 50 კ.—25 კაპ.

---

კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი.

ოთხშაბათს 11 დეკემბერს 1913 წ. სახ. სახ. არს. ქართ. სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ. წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე გიორგი ფოცხოველის პიესა

1) **განდევნილნი** სურ. 1 მოქმ. ორიგინალური პიესა შალვა დადიანისა.

2) **შენი ჭირიმე** კალმის ნაჟღმაკარი 3 მოქმ.

მონაწილეობენ: ქ.ქ. ნარაკიძე, ტანელი, ყოჩიშვილი, ციმაკურიძე. ბ.ბ. ანაშვილი, არშაკუნი, **ივ. ბარველი,** გოცირიძე, ივერელი, კავსაძე, მაისურაძე, მინდიაშვილი, მეტრეველი, ნინიძე, ტოგონიძე, რომანიშვილი, ჰიაურელი, ჯაბაური.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.**

რეჟისორი ალ. წუწუნავა. თანაშემწე ალ. გუგუშვილი.

**ადგილების ფასი** 5 კ.—50 კ.

„წრის“ ადმინისტრაცია.

---

### ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს 13 დეკემბერს 1913 წ.

ჩვეულებრივი

## სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

**დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.**

---

### კავკასიის განყოფილება რუსეთის საურთიერთო დამზღვევ კავშირისა

(სერგიევის ქ. სახლი № 3)

ამით აცხადებს, რომ მან მოიწვია თანამშრომლად თბილისში კავშირისათვის დასაზღვევ ქონებათა შესაძენად

## იაკობ მოსეს-ძე ლიმონი

მთავარი წარმომადგენელი რუსეთის საურთიერთო დამზღვევ კავშირისა

არკ. მილოვი.

---

## თბილისი, 9 დეკემბერი.

ახალ საორშაბათო გაზ. „ფიქრის“ 2 დეკემბრის ნომერში მეტად საყურადღებო მეთაური წერილია დასტამბული. გაზეთი ეხება საპოლიტეხნიკუმო აღგილის არჩევის საკითხს. იგი, რა თქმა უნდა, უპირატესობას აძლევს საბურთალოს ნავთლუღთან შედარებით. მხოლოდ ნავთლუღის არჩევას მთავრობის მიერ გაზეთი იმით ხსნის, რომ მთავრობას სურდა გული მოეგო უფრო ძლიერის და მისთვის უფრო სასარგებლო ელემენტისა. ასეთ ელემენტად „ფიქრს“ თბილისის მსხვილი ბურჟუაზია მიაჩნია, რომელიც მარტო ერთს ერს, სახელდობრ სომხისას ეკუთვნის, რადგანაც ჩვენი ერის ბურჟუაზია ჯერ-ჯერობით არ შეთვალებულა შესამჩნევად.

„სომხის ბურჟუაზიის გულის მოგება, — ამბობს „ფიქრი“,—მთავრობისთვის იმ მხრითაც არის ხელსაყრელი, რომ ამ ბურჟუაზიის გულის მოგებას თან მოჰყვება გულის მოგება სომხის ხალხის დიდი უმეტესობისა, რომელიც, სამწუხაროთ, ჯერ-ჯერობით შორს არის პოლიტიკურ სიმწიფისაგან, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია თავისი სოციალური ინტერესები, ვერ გამსჭვალულა კლასობრივი შეგნებით და სომხის ბურჟუაზიას თავის მხსნელად აღიარებს. ადგილობრივი სომხის ბურჟუაზიის გულის მოგებას საგარეო პოლიტიკაც უდევს სარჩულად, რადგანაც ამას თან სდევს ოსმალეთის, სპარსეთის და სხვა გარეშე სახელმწიფოებში დასახლებულ სომხის ბურჟუაზიის გულის მოგებაც“.

აი ამ რეალურ ძალას ეფერება, ხსენებულ გაზეთის სამართლიანის აზრით, დღეს მთავრობა და ოდესღაც მისთვის სატრფიალო საგანი თავად-აზნაურობა, რომელიც მარტო ერთს ხალხს, სახელდობრ ქართველებს ეკუთვნის, ამ ჟამად არაფრად მიაჩნია, რადგანაც ეს „მაღალი წოდება“ დღეს სოციალურად და ეკონომიურად დაუძლურებულია. ეს სრული ჭეშმარიტებაა! ჩვენი თავად-აზნაურობის შეგნებულმა ნაწილმა უნდა გაითვალისწინოს ეს შომხდარი დროთა ბრუნვის გამო ცვლილება და ახალ მოთხოვნილებას გაუწიოს ანგარიში არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ ძველი პოლიტიკური მნიშვნელობა დაუბრუნოს თავის წოდებას—ეს ხანა უკვე ისტორიას ჩაჰბარდა,—არამედ იმიტომ, რომ ხელი შეუწყოს ქართველ ერში გაჩენილ ახალ ძალთა ზრდასა და განვითარებას.

იმ თავადაზნაურულმა ახალგაზრდობამაც რომელიც ადრე უფრთხოდა ყოველსავე წოდებრივს, ახლა კი მხარს უჭერს ძველი შეხედულების პატრონებსაც კი ამ წოდებაში, სწორედ ეს გზა უნდა აირჩიოს.

დადგა ახალი ხანა ჩვენი ერის ცხოვრებაში!.. თავი იჩინა ახალმა ელემენტმა და ხსენებულმა ახალგაზრდობამაც სწორედ ამ ელემენტის გაძლიერებას უნდა გაუწიოს სამსახური.

თავად-აზნაურობის იურიდიული ერთეული უნდა მოიხმაროს მან ამისათვის. საკუთარ ბურჟუაზიის გაძლიერება ქართველ ხალხში მართლაც დიდი ნაბიჯის გადადგმა იქნება. თავადაზნაურობის ცხოველმყოფელი ელემენტები ფერს იცვლიან და სხვა სახით მოევლინებიან ქვეყანას, როგორც ახალი როლის—მრეწველის, მოვაჭრის და სხვ.—აღმსრულებელნი, დაძაბუნებულნი კი თავისად ჩამოშორდებიან.

აი ამ მხრით ჩვენ ვერ გაგვიგია სრულებით ის ზომები, რომლითაც სურთ ხელოვნურად გაამაგრონ ძველი წოდება და რომელნიც უშლიან ამ წოდების ბუნებრივ დაშლას, მისი სასარგებლო ელემენტების ფერისცვალებას მაგალითად, ეს ხელოვნურად ატეხილი განგაში ხიზანთა კანონ-პროექტის გარშემო ჩვენი ერის პროგრესისათვის მავნე მოვლენად მიგვაჩნია.

წარსულ საერობო თათბირის დროსაც ჩვენი ულტრა-ნაციონალისტებისაგან იყო წამოყენებული ასეთივე ხელოვნური ღონისძიება—მაღალი საერობო ქონებრივი ცენზი.

როგორც პირველ შემთხვევაში, ისე მეორეში, ის მიზანი ჰქონდათ, რომ თავად-აზნაურობისათვის მეტი უფლება მიენიჭებიათ, რადგანაც იგი ეკუთვნის მარტო ქართველ ერს, და ამით მაგრდება თვით ჩვენი ერიო. ეს დიდი შეცდომაა ჩვენი შეუგნებელ და უნებლიეთ რეაქციონერების მხრით. აქ არ არის ნდობა თვით ჩვენი ხალხისადმი.

წოდებრივი კალაპოტი უნდა გაირღვეს, უნდა ამოძრავდეს მთლად თვით ჩვენი უწოდებრივო ქართველი ხალხის მასსა, რომელიც გამოჰყოფს თავის წრიდან ცხოველ-მყოფელ და სასარგებლო ელემენტებს.

აი, ამ ცვლილებასა და ჩვენი ხალხის ბუნებრივ განვითარების გზას უნდა მიაქციოს ყურადღება ქართველ თავადაზნაურობის შეგნებულმა ნაწილმა და მისმა ახალგაზრდობამ, თუ სურს, თავის სამშობლოს სამსახური გაუწიოს და არ დაინახოს, შემდეგში, მაინც უცნაური სურათი სამშობლო დემოკრატიის და უცხო ბურჟუაზიის ხშირად ერთად გამოსვლისა სხვადასხვა საარსებო საკითხების განხილვის დროს... დემოკრატია, მართლაც, ყოველთვის გრძნობიერია და მას კარგადა აქვს გათვალისწინებული, რომ ბურჟუაზია, რომელ ერსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, ყოველთვის უფრო პროგრესიულია, ვიდრე დრომოჭმული ფეოდალური ხანის ნაშთი წოდება...

---

### თბილისის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეების დამხმარე საზოგადოების წლიური კრება.

დავესწარი ამ საზოგადოების კრებას, რადგანაც ბევრი საყურადღებო საკითხი იყო გარდასაწყვეტი და მეგონა საგულისხმო იქნებოდა. მაგრამ, სწორედ მოგახსენოთ, მეტად მძიმე შთაბეჭდილება გამოვიტანე. სამივე კრება ერთი მეორეზედ უარესი და მწუხარე აზრების მომგვრელი იყო. ჯერ უმთავრესად ის იყო დასანანებელი, რომ ამ საზოგადოების წლიურ კრებას, მხოლოდ 25—35 წევრი ესწრებოდა, ისიც დაწყებისას; მერე-კი ეს რიცხვიც მცირდებოდა და დიდ მნიშვნელოვანი საკითხი ხშირად ოციოდე წევრის სურვილისამებრ სწყდებოდა მაშინ, როდესაც ამ საზოგადოების წევრად ითვლებიან „თბილისის გუბერნიის შთამომავლობითი თავად-აზნაურნი.“ ვინც სოფლად არიან, რომ კიდეც არ ვიანგარიშოთ ისინი, და მარტო თბილისს მცხოვრებნ. რომ ვიგულისხმოთ —ესეც

კარგა დიდ რიცხვს უდრის. და ნუ თუ განსაცვიფრებელი არ არის, რომ ასეთ რიცხვმრავალ საზოგადოებაში მხოლოდ ორი-სამი ათეულის ნება სურვილზედ უნდა იყოს მიტოვებული ამ დიდმნიშვნელოვანი საზოგადოების სავალალო საქმენი და მომავალი ბედიც?! სწორედ რომ გასაშტერებელია!.. დიაღ, ყველაფრისათვის მოეპოება ქართველ კაცს დრო, ხოლო საჭირო საერთო საქმისათვის-კი იგი მოუცლელია, და რადგან ეს საქმეც მეტად საჭიროა და თავსატეხი, რასაკვირველია, აქაც იგი თავის ჩვეულებას არ გადადის და უთუოდ ზურგი უნდა იბრუნოს... ამაში ქართველს ვერავინ აჯობებს... და აკი მიდის ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე წარმატებით და ნაყოფიერად?!.

ეხლა გადავიდეთ ამ რამდენიმე ათეულის მუშაობაზედ, რომელნიც გმირებად დასასახავი არიან, რადგანაც საერთო კანონს ზურგის-შექცევისას არ დაემორჩილნენ. ბევრი რამ ვერც ამ ჯგუფმა გაარიგა. რაც ამ საზოგადოების გამგე კომიტეტს ჰქონდა წინასწარ გარდაწყვეტილი, ყოველივე ის დაადასტურებინეს დამსწრე საზოგადოებას, ე. ი. საზოგადო კრებას. (გარდა ერთი საკითხისა — რომელიც რაღაც სასწაულით გაიტანა თავის სურვილისამებრ საზოგადო კრებამ). ასე რომ გარეშე მაყურებლისათვის ცოტა უცნაურიც იყო ასეთი კრება, — ეკითხებოდი შენ თავს — რა საჭირო იყო ან მჯელობა, ან კამათი, კენჭის-ყრა — როდესაც ყველაფერი ის გადიოდა, რაც გამგე კომიტეტს გარდაეწყვიტა! ან ძალა-უნებურად უნდა გაგევლო კაცს გუნებაში: რა გულთმისნები ყოფილან გამგე კომიტეტის წევრები, რომ ასე კარგად მიხვედრილან საზოგადო კრებაზე დამსწრეთა გულის-პასუხსო.

პირველ კითხვად შემდეგი იყო წარმოდგენილი: განის ქუჩაზედ საზოგადოების სახლი, რომელსაც ვალი დიდი აქვს და შემოსავალი ცოტა, გაიყიდოს და ამოგებული ფულით შემცირდეს ქართული გიმნაზიის ვალი. ზოგიერთებმა იკითხეს: რა ფასად აპირებთ გაყიდვას, ეგებ ეს გაყიდვა საზარალოც იყოს, რატომ არ აქვს შემოსავალი და სხვა. ამაზედ არავითარი პასუხი არც განმარტება. ფასის შესახებ ვერას ვიტყვით, რადგანაც ეს „კომერციული საიდუმლოება“ არისო. ზოგიერთები მაინც წინააღმდეგნი იყვნენ გაყიდვის. ამაზედ გამგე კომიტეტმა უპასუხა — უკვე ორი წელიწადია, რაც გარდასწყდა გაყიდვა და თქვენ ვერც-კი შეაბრუნებთ ამ საკითხსო. მაშ გაიყიდოს — ყველამ დასტური დასცა, გარდა ორი კაცისა.

ეხლა, ვის მიენდოს გაყიდვა — გამგე კომიტეტს თუ არაო? რასაკვირველია, გამგე კომიტეტსო — ესეც დაუდასტურა საზოგადო კრებამ. ეს საკითხი ამით გათავდა.

გაოცებული დავრჩი ამგვარის გარდაწყვეტილებით. ჯერ ერთი რა გამოცდილება უნდა ჰქონდეს გამგე კომიტეტს, სულ სხვა საქმისათვის არჩეულს, რომ კომერციული საქმეც მათ მოახვიეს თავზედ?! შემოსავალი ხარჯს ვერ ჰფარავსო, რომ ამბობენ, განა უსინჯავს ვისმე ამ სახლის შემოსავლის მოსამატებლად რაიმე საშუალების გამოძებნა? ან იმის გამორკვევა, თუ ზარალი რატომ უნდა ჰქონდეს ასეთ მამულს! მით უფრო, როდესაც ადგილი ისე ძვირფასი და დაზარჯვებულია — როგორც ამ სახლს აქვს? ეს რამდენი ხანია გაიძახიან: გაიყიდოს, გაიყიდოსო და ჰგონიათ, რომ „კომერციული საიდუმლოება“ გამჟღავნებული არ არის, როდესაც საზოგადო კრების დადგენილება გაზეთის ფურცლით ეუწყება ყველას, სახლი გაიყიდოსო — იქ რაღა საიდუმლოების დაცვა შეიძლება!? და როდესაც იციან, სახლი უთუოდ უნდა გაიყიდოსო — განა ყოველი ადამიანი არ ეცდება, რომ მუქთად ჩაიგდოს ხელში ასეთი მოძულებული მამული?! მაგრამ ჩვენ კაცს გაყიდვა თუ გააგონეთ — ეს ხომ მისთვის აღდგომაა...

მეორე საკითხი: ქართული გიმნაზია დაგირავებულია ბანკში 423.000 მანეთად. 1910, 11, და-12 წლების შესატანი გადასახადი მოგროვებულა 88.534 მან. სულ ჯარიმებით ეხლა არის შესატანი 115.000 მანეთი. ამ ფულის გასასტუმრებლად გამგე კომიტეტს გამოუძებნია შემდეგი საშუალება: დაგირავდეს გიმნაზიის შენობა კიდევ მეტ ფასად, ე. ი. 145.000 მანეთად (რომელიც გასტუმრებს 115.000-ს), ამით ვალი გიმნაზიას დაედება 570.000 მანეთი, ხოლო ყოველ-წლიური შესატანი-კი იქნება 40.000 მანეთი. უყარეს კენჭი ამ დიად აღმოჩინებას! ორმა ათეულმა უმრავლესობამ დაგირავებას დასტური დასცა. ცოტანი იყვნენ წინააღმდეგნი, ხოლო ოთხმა წევრმა სრულებით მონაწილეობა არ მიიღო კენჭის ყრაში. ვის მიენდოს ეს საქმე — რასაკვირველია, გამგე კომიტეტს. „მიენდოს, მიენდოს!“ ასე გარდასწყდა ეს მეორე დიადი საკითხი. გაყიდვა და დაგირავება ოღონდ-კი გააგონეთ ქართველ კაცს — და ეს მისთვის ხომ აღდგომაა...

სწორედ ამ საკითხმაც მეტად გამაშტერა! სახლის ვალი ვერ შეუტანიათ თითქმის ოთხი წლის განმავლობაში — მარტო ჯარიმა წლიური 15.000 მან. ასულა და ეხლა კიდევ ვალის მომატება ჰსურთ, რომ ყოველ წლიურ შესატანს კიდევ მიემატოს და უფრო ძნელი შესატანი გახდეს?!

თუ კი 30.000 მან. შეტანა უჭირდათ, 40.000 მან. საიდგანღა უნდა შეიტანონ?! სწორედ რომ გასაშტერებელია! ვის გაუგონია სახლის ვალის სარგებლის გასასტუმრებლად, კიდევ ხელ-ახალი გირაოს აღება და შემოუსავლიანი სახლის უფრო მეტად დავალიანება!?..

როდესაც ვეღარ შესძლებენ ამ დიდი სარგებლის გადახდას, მაშინ რაღას აპირებენ? უთუოდ კიდევ ვალს წაუმატებენ და იმ დრომდე არ მოიშლიან ამას, სანამ სახლი მართლაც არ გაეყიდებათ ვალებში. მაშინ და მხოლოდ მაშინ მოისვენებენ ალბად...

მაგრამ გამგე კომიტეტს თურმე ჰქონია მესამე უებარი წყარო და ეს ცალკე საკითხად იყო წარმოდგენილი. სწორედ იმის საპასუხოდ, თუ საიდგან ვიშოვოთ ყოველ-წლიურად ეს 40,000 მანეთიო, გამგე კომიტეტს გადაუწყვეტია: უნდა მიემატოს სწავლის ქირას; გადასახადი სხვაგან თუ 75—100 მანეთს იხდიან, და ჩვენთან-კი 40—50 მან., თამამად შეგვიძლია ეს ჯამი ავიყვანოთ 75 მანეთამდეო. ამასთანავე, წინად თუ 25 % სრულებით ვანთავისუფლებდით სწავლის ფასისაგან, ეხლა მხოლოდ 10 % გავანთავისუფლოთ, და მაშინ 40.000 მან. თავისუფლად შემოგვივა ბანკის ვალის სარგებლის გასასტუმრებლადაო. ამაზედ დიდი კამათი ასტყდა. ბევრი წინააღმდეგი იყო ამისი. მიზანი საზოგადოებისა — ღარიბების დახმარება არის და ნუ თუ ეხლა კარი უნდა დაუხშოთ ამ ღარიბებს! ეს მეტი შეუბრალებლობა: იქნება, საშიში ზომაც არისო და სხვა. მაგრამ გამგე კომიტეტი მაინც ამტკიცებდა ეს უკიდურესი ღონის-ძიებაა, მაგრამ სხვა სახსარი არავითარი არ მოგვეპოებაო და სხვა. ზოგიერთები ურჩევდნენ: სახლის გადარჩენა სხვა არის და ბავშვების სწავლის საქმე სულ სხვა, რადა გსურთ ეს ორი საქმე ერთი მეორეს გადაჰკიდოთ? ფასის მომატებით ელფერს გამოუცვლით გიმნაზიას, მოწაფეებს გაჰყრით აქედგან და საზოგადოების თანაგრძნობასაც ჩამოაკლებთ სასწავლებელსაო და სხვა. მაგრამ გამგე კომიტეტმა საპასუხოდ ბრძანა: „ამაზედ ბევრი ვილაყბეთ და ვიფიქრეთ, და ეხლა თქვენ უნდა მოიწონოთ ან დაიწუნოთო“. უყარეს კენჭი. ხმის უმეტესობით გარდასწყდა: მიემატოს სწავლის ფასს თან-და-თანობით 75 მანეთამდე და განთავისუფლდეს ასში 25-ის მაგივრად, მხოლოდ 15. ამ გარემოებამაც მეტად გამაოცა!..

კრინტი არ დაძრულა სხვა საშუალებაზედ, ან როგორ მომატებოდა შემოსავალი ამ ვეებერთელა შენობას, სადაც დიდ-ძალი ადგილი გამცდარია და ამით შემოსავალიც შემცირებული. ამისათვის თავი არავის უმტვრევია. ეს უფრო ძნელი გამოდგა, ვიდრე პირდაპირ სწავლის ფასის მომატება...

ეს დიდი საკითხიც, სასწავლებლისათვის მეტად მნიშვნელოვანი და სავალალო, გარდასწყდა მხოლოდ რამოდენიმე პირთა დასტურით...

გამგე კომიტეტი გულთ-მისანი გამოდგა... სამი რამ აღმოაჩინა: გაყიდვა, დაგირავება და სწავლის ფასის მომატება, — სამივეზედ დასტური მიიღო.

სამმავე გარდაწყვეტილებამ მწარე საგონებელში ჩამაგდო..

დანარჩენი შემდეგ.

დამსწრე.

## საზოგადოების საყურადღებოდ

ქართველმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი ქონება უანდერძა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. სხვათა შორის ამ ნაანდერძევ ქონებაში იყო ილიას სახლი ქ. თბილისში ანდრიას ქუჩაზედ, სადაც იგი სცხოვრობდა. თვით ილია ჭავჭავაძის სურვილი იყო, ყოველივე მისი ქონება დარჩენოდა სწორედ იმ საზოგადოებას, რომელიც ყოველი ქართველისათვის ძვირფასი უნდა იყოს. ამ სურვილს საერთო სურვილიც დაერთო, რომ პოეტის სახლი სახსოვრად დარჩენოდა შთამომავლობას და ამ სახლში გამართულიყო რამე პოეტის სახელის სახსოვრად და პატივსაცემლად, ამის შემდეგ მარმარილოს წარწერაც გაუკეთეს სახლს, რომლითაც ყველას ეუწყა, ვინც სცხოვრობდა ამ სახლში.

სხვა და სხვა გარემოებამ ხელი შეუშალა ამ სახლის ვალისაგან განთავისუფლებას, შემოსავალი არა ჰქონდა, ვალი გაორკეცდა და ბოლოს შეუძლებელი გახდა ამ სახლის შემოსავლით ვალის სარგებლის გადახდა.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც არ მოეპოებოდა რაიმე თავისუფალი თანხა, რომ ეს სახლი შეესყიდნა. და ამ საზოგადოების წარსულ წლიურ კრებაზედ საბოლოოდ გამოირკვა, რომ გამგეობას უსახსრობისა გამო შეუძლებლად ჰქონდა დასახული ამ სახლის შეძენა.

ბანკის გამგეობაც, რომელსაც ეს სახლი საჯარო ვაჭრობის შემდეგ ჩარჩა, მეტს ვეღარ მოიცდიდა, რადგანაც კერძო პირთ ჰსურდათ ამ სახლის შეძენა. ამნაირად თუ რამე სახსარი არ აღმოჩნდებოდა, მთელ ქართველობას დიდი სირცხვილი ელოდა — ეს სახსოვრად დატოვებული სახლი სამუდამოდ უნდა დაკარგულიყო.

აი ამ გარემოებამ დიდათ შეაშფოთა პოეტის ყველა თაყვანის-მცემელნი და იქვე კრებაზედ რამდენიმე პირმა განაცხადა სურვილი, ამ საქმეში წ.-კ. ს. გამგეობას დახმარებოდა, ფულის შეგროვება იკისრა, იმ დაპირებით, რომ ეს სახლი საზოგადოებას არ დაჰკარგოდა და ისევ წ.-კ. საზოგადოების კუთვნილებად გადაექცია. საბოლოო გეგმა-კი ის არის, რომ მოიკრიბოს თანხა, სახლი ვალისაგან განთავისუფლდეს, შეკეთდეს, შიგ გაიმართოს სამკითხველო და პატარა თავშესაფარი მოხუც მწერალთა და მსახიობთათვის.

ეხლა ეს საქმე საზოგადოების თანაგრძნობაზედ არის დამოკიდებული. ნუ თუ ჩვენი შეგნებული საზოგადოება იმას მოინდომებს, რომ მის სასახელო მოღვაწის სადგომი სახლი, თვითონ მისგანვე საზოგადო კუთვნილებად დატოვებული, კერძო ხელში გადავიდეს და შთამომავლობას სამუდამოდ დაეკარგოს!... სხვა ქვეყნებში სახელოვან პირებს მადლიერი შთამომავლობა თვითონ უგებს ბინას და სახსოვარს, და ნუ თუ ჩვენ უკვე აგებულის შენახვა და მოვლა ვერ უნდა შევსძლოთ?! ეს ხომ სამარცხვინო საქმე იქნება, მეტად სასაყვედურო და შთამომავლობისაგანაც დასაგმობი!..

ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველ საზოგადოებას საკმაოდ მოეპოვება ისეთი წევრი, ვინც მას არ მიიყვანს სირცხვილის კარამდე, დახმარებას აღმოუჩენს ამ საჭირო საქმეს, და თავის წვლილსაც გაიღებს, რომ განზრახული საქმე ნაყოფიერად განხორციელდეს.

მსურველთ შეუძლიანთ თავისი წვლილი მიაწოდონ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას ქ. თბილისში.

## ხიზანთა საკითხის გამო

იშვიათად დაგვიდგება ხოლმე ჩვენ, ქართველებს, ისეთი წუთი, როდესაც პრაქტიკულ საქმეში გვჭირდება უნარის გამოჩენა, მაგრამ როცა დაგვიდგება, მაშინ არის ჩვენი უბედურება და ჭაპანწყვეტა: შეუძლებელია, რომ მაშინ ან პირადმა შუღლმა არ აღმოიჩინოს თავი, ან წოდებრივმა და სხვა რამე განხეთქილებამ. მანამდის კი კაი კაცები ვართ, ჩვენისთანა კაი მოლაპარაკე, ჩვენისთანა კეთილი და სხვისთვის თავ-დადებული, მეორე არ მოიპოება ქვეყანაზედ — მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით. ერთი ამისთანა გამოცდა ჩვენთვის არის ხიზანთა საკითხი.

ამ საგანზე ჯერ კიდევ გლეხთა განთავისუფლების დროს ყოფილა ლაპარაკი. იმის შემდეგ რამდენჯერმე აღძრულა საკითხი, მაგრამ არც ერთს ჩვენი საქმეების დროს სათავეში მდგომთაგანს არ უთქვამს გულ-ახდილად, რომ ეს წარსული არა-ნორმალური დროის დაძველებული დაწესებულება უნდა სამუდამოთ მოისპოს, რა ფასადაც უნდა დაჯდეს იგი, რომ ამით ისტორიას გადაეცეს უკანასკნელი ნაშთი ფეოდალურ წესწყობილებისა. ეხლაც, როდესაც ხელ-ახლად დაიწყეს ამაზედ ლაპარაკი, ჩვენი თავად-აზნაურობა, რომელზედაც არის უმთავრესად დამოკიდებული ხიზანთა სვე-ბედი, ამხედრდა ხიზანთა ახალ კანონ-პროექტის წინააღმდეგ. მისი წარმომადგენელნი სჩივიან და მოსთქვამენ, რომ ჩვენს თავად-აზნაურობას მამული ცოტა აქვს და ისიც რომ ხიზნებს გადასცენ, იმათ რაღა დარჩებათო. უმიწოდ ხიზნების განთავისუფლება კი ძველი წესების გამაგრება იქნება, ისე რომ არც კი ღირს ამაზე ლაპარაკი. რა თქმა უნდა ამ სერიოზულ საკითხს სერიოზული გამოკვლევა და განმარტება სჭირდება, მაგრამ ის კი ეხლავე შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ხიზანთა ინსტიტუტის გაუქმება აუცილებელ [illegible] წარმოადგენს ჩვენში, რადგან [illegible] მრეწველობამ ძლიერად შემოდგა ფეხი ჩვენი სოფლის ცხოვრებაში და ჩვენი სოფელი კი ამჟამად წინ ვერ წავა, ვიდრე ამგვარი დაწესებულება იარსებებს. თვით ცხოვრება თხოულობს ამას და, თუ წინააღვუდგებით მას, გადაშენებისა და გადაგვარების გზას დავადგებით. ნუ დაგვავიწყდება, რომ ქართველების ძლიერება სოფლის მრეწველობაშია უმთავრესად და თუ სოფლადაც ისე ჩამორჩენით ცხოვრებას, როგორც ქალაქში, ვეღარა გვიხსნის რა და აღვიგვებით პირისაგან მიწისა.

ჩვენს თავად-აზნაურობას კი ეს სრულიად არ ახსოვს და თავის წოდებრივ ინტერესებს ლამის ანაცვალოს ყოველივე საზოგადო, თუნდ ეროვნული საქმე. მათი წარმომადგენელნი ციფრებით ხელში გვიმტკიცებენ, რომ თავად აზნაურობა ღარიბია, საშუალო ზომა თვითეულ თავადის ან აზნაურის ოჯახის მამულისა 26 დესეტინას არ აღემატება. ეს ჩვენც კარგად ვიცით; — კარგად ვიცით, რომ ერთი ნაწილი ჩვენი თავად-აზნაურობისა ღარიბია, ზოგი მათგანი სოფლის პროლეტარსაც კი უახლოვდება, მაგრამ ამგვარი სტატისტიკა საქმეს ვერ გამოარკვევს. ხომ თვით ამ სტატისტიკიდანვე სჩანს, რომ მსხვილ მემამულეთა რიცხვი, რომელთაც 500 დესეტინაზე მეტი აქვს 367 არის. 100—500 დეს. პატრონი კი 999.

ისე, რომ 100-ზე მეტი დესეტინა აქვს სულ 1366 მემამულეს.

ჭკუასთან ახლოა, რომ ამ 1366 მემამულის ადგილზე უნდა იყოს დასახლებული ხიზანთა უმრავლესობა და არა იმათ მამულებზე, ვისაც 25 დესეტინაზე მეტი არა აქვს *). ისე, რომ ის შიში, ვითომ ჩვენ მემამულეებს მიწა აღარ დარჩებათ, თუ ხიზნებს დაურიგეს რამე, უსაფუძვლოა. ამ გვარად ეს საკითხი, მხოლოდ პრინციპიალური საკითხია და ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ამგვარ სტატისტიკით უარჰყოფს იმას, რასაც თვით ცხოვრება გვიკარნახებს. არა! ძირითადი მიზეზი ამგვარი ჯიუტობისა არის მხოლოდ წოდებრივი ანტაგონიზმი — ეს ჩვენი მუდმივი ჭირი. არც ეროვნული ლათაიებია მოსაყვანი, რადგანაც კარგად ვიცით, რომ ხიზანთა რიცხვში, რომელიც 5000 კომლს არ აღემატება, ქართველებიც არიან. ესეც რომ არ იყოს, ვინც დღეს ჩვენში დასახლებულია, აქვე უნდა დარჩეს, ვერსად გვარეკავთ იმ მამულიდან, სადაც მათ ოფლი ჩაუღვრიათ, მიწა-წყალი მოუპოვე-

*) ამ 1366 მემამულეთ, ვთქვათ თითოს 200 დესეტინა აქვს, მაშინ თითო ამ მემამულეთაგანმა ხიზნის სასარგებლოთ უნდა გაიღოს სულ 27—28 დეს. თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ აგრონომ ფირალოვის ანგარიშით ხიზნებს ორივე გუბერნიაში დასჭირდებათ 37,548 დეს. მაშინ თითო მემამულეს კიდევ 170 დესეტინაზედ მეტი დარჩებათ. ეს არის თავად-აზნაურთა მიწად-მფლობელობის ლიკვიდაცია?!.

# ორგვარი სიყვარული.

——

ყველა სმენად გადაიქცა. ძალიან ლამაზად ლაპარაკობს ქეთო. არავის შეუძლიან თვალი მოაშოროს იმის აღფრთოვანებულ სახეს, არ შეუძლიან ყური არ ათხოვოს ახალგაზრდა ქალის რწმენით გაცხოველებულ სიტყვებს.

ეს მესამედ არის ქეთო ქალებს ჩვეულებრივ კრებაზე ებაასება, მესამედ არის ამშვენებს მოლაპარაკეთათვის მოწყობილს კათედრას და იმის ბაასისაგან გამოწვეულ ინტერესს თან-და-თან ემატება, თან-და-თან ჯადოსნური ძალა ცძლევა. რა მშვენიერი რამ არის იმის მოელვარე თვალები, როცა ისინი ხან ერთ სმენელზე გაჩერდებიან, ხან მეორეზე! რა საუცხოოდ უღვივის მორცხვობისაგან გაწითლებული ლოყები! რა ნაზია მისი ღიმილი, როცა ის რომელიმე საყურადღებო მოვლენას აღნიშნავს! სიამოვნებით უსმენს მას ყველა და ყველას სწყინს, რომ მალე დასასრული უნდა ექნეს ამ მშვენიერ მწარე სინამდვილისაგან მომწყვეტ ზღაპარს.

დიაღ, ზღაპარისებური იყო ქეთოს იმედები, რომელსაც ის მომავალზე ამყარებდა, ზღაპარისებური იყო ის რწმენა, რომლითაც გაჟღენთილი იყო ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მისი მიხვრა-მოხვრა.

აი, გადააქნია ქეთომ თავი და თავის ბაასი დაამთავრა: „დიაღ, ბატონებო, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ მოვსპოთ ჩვენში სრულიად ეგოიზმი და პირადი ბედნიერება, პირადი ინტერესები შევწიროთ საზოგადო ინტერესებს დაუფიქრებლად, თამამად. მაშინ შეგვიძლია უწოდოთ ჩვენ თავს ნამდვილი ადამიანი“

იმის უკანასკნელი სიტყვები დაჰფარა აღტაცებულმა ტაშის ცემამ. ქეთოს გარშემო შემოეხვივნენ, მადლობას უძღვნიდნენ. ბოლოს როგორც იქნა, თავი დააღწია და გარედ გამოვიდა. მშვენიერი ღამე იყო

ვარსკლავებით მოჭედილი ცა თითქოს თავისკენ იწვევდა ქალს, რომლის სულიც ისე ამაღლებულიყო რწმენით და სასოებით, თითქოს მზად იყო მოჰხვეოდა მომხიბლავ მნათობებს.

— ოჰ, რა საუცხოო ღამეა! — სიამოვნებით აღმოხდა ქეთოს. ის სახლისაკენ გაეშურა.

„რა საკვირველია ზოგიერთი ადამიანი“ — ფიქრობდა ის. „სულ ბედს ემდურის, სწყევლის ცხოვრებას, სიკვდილს ნატრობს. განა არის რამე სიცოცხლისთანა მშვენიერი? მხოლოდ უნდა გიყვარდეს ყველა, უნდა ემსახურო სიკეთეს და სიცოცხლის სიტკბოებასაც მაშინ იგრძნობ. უნდა ნახო მეგობარი, რომელსაც გაუზიარებ ყოველს შენს ვარამს, შენს ფიქრებს და ყოველივე ის, რაც გაწუხებს, გაგიადვილდება.

აქ ქეთომ სიხარულით გაიღიმა.

აბა, რა იქნებოდა იმის სიცოცხლე, რომ ლადო არ ჰყოლოდა!

აგერ ერთი წელიწადია უყვარს ეს ყოველ ღირსებით შემკული ყმაწვილი. ერთხელ ქეთო თავის მეგობარ ქალთან იყო სტუმრად. იქ ახალგაზრდებს შორის მისი ყურადღება მიიქცია ერთმა ვაჟმა ლადო ზურაბმა. მიიქცია ყურადღება თავის მოხდენილი ლაპარაკით და ბავშვური გამომეტყველი სახით. ნიჭიერი ყმაწვილიაო — ამბობდენ მაზე. და ეს კიდეც მართლდებოდა ქეთოს თვალში: რაზედაც უნდა ყოფილიყო ბაასი, ლადო თავისებურობას შეიტანდა მასში.

ახალგაზრდა განვითარებულმა ქალმაც მიიქცია ლადოს ყურადღება.

გავიდა ხანი. იმათი მეგობრობა უფრო დიდ გრძნობაზედ გადავიდა.

როგორ ახსოვს ქეთოს იმათი გრძნობების გამოაშკარავების პირველი დღე ლადომ ის თეატრიდან გამოაცილა. ქეთო თავჩაღუნული მოდიოდა, მსახიობ ქალის მშვენიერ თამაშის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

დაფიქრებიდან გამოიყვანა ლადოს სიტყვებმა: „შეხედეთ ქეთო, რა მშვენიერი ღამეა“.

ქალმა ზევით აიხედა და დაინახა მოკაშკაშე მთვარე, რომელიც მოწმენდილ ცაზე რაღაც მედიდურათ გამოიყურებოდა, თითქოს ამაყობდა: „შეხეთ გავიმარჯვე ღრუბლებზე, ჩემი ძლიერი შუქით მივფანტ-მოვფანტე იგინი და თავისუფლად დავნავარდობ ჩემ სამფლობელოშიო“.

მდინარე ხომ საუცხოო სანახავი იყო: მისრიალებდა წყნარად თავის ბუდეში და მისი, მთვარისაგან მოლაპლაპე, ზედაპირი რაღაც აუწერელ სილამაზეს წარმოადგენდა. „ძალიან ლამაზი ღამეა“ წყნარად წარმოსთქვა ქეთომ და ლადოს შეხედა, მაგრამ იმ წამსვე თავი დაღუნა, რადგან უცნაური რამ იგრძნო ვაჟის შემოხედვაში. რაღაც საიდუმლო ძალამ შეჰბოჭა ქალის სხეული.

„ქეთო“ — აკანკალებული ხმით დაიწყო ლადომ, „ნუ თუ ვერ ამჩნევ, რა ხდება ჩემში, ნუ თუ ვერ ხვდები, რატომ დაგდევ აჩრდილივით?“.

ქეთო სდუმდა. მან თუმცა აქამდი ვერაფერი ვერ შეამჩნია ლადოს გარდა მეგობრული განწყობილებისა, მაგრამ ახლა კი სულ სხვა გვარმა გრძნობამ მოიცვა ახალგაზრდა ქალის არსება. მართალია ის ხვდებოდა, რომ ლადო იმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, მაგრამ ის ამას ხსნიდა იმ მეგობრული სიყვარულით, რომელიც იმათში გაჩნდა პირველ ნაცნობობის დღიდან.

იმ საღამოს ამხანაგ ქალთან ბაასი ჩამოვარდა ქალის მდგომარეობის შესახებ, ქეთო თავისებურათ თავგამეტებით იცავდა ქალთა თანასწორობის იდეას. ლაპარაკის დროს ლადო აღტაცებით შესჩერებოდა ქალის სახეს და ხშირად თავისი შენიშვნებით ხელს უწყობდა იმის ბაასში გამარჯვებას.

იმ დღიდან დაიწყო იმათი სულიერი კავშირი.

„რა კარგი რამ არის ეს ლადო“ — ხშირათ გაიფიქრებდა ხოლმე ქეთო. „რა პატიოსანი, სიმართლის მოყვარული, ნიჭიერი, და ქალების პიროვნებას როგორ პატივსა სცემს, რამდენ იმედებს ამყარებს იმათ წინსვლაზე!“ სწორედ ამ თვისებებმა გამოიწვია ის ღრმა პატივისცემა და ტკბილმა ღიმილმა — ის მეგობრული სიყვარული, რომელსაც ქეთო ლადოსადმი ჰგრძნობდა. ეს ყველაფერი წინად ისე იყო, მაგრამ ახლა სულ სხვა რამეს გრძნობდა ქალი ვაჟის სიტყვებში.

„ქეთო, — განაგრძო კვლავ ლადომ. — „გაიგონე ჩემგან ნათქვამი, ერთი ხმა გამეცი“.

ქალი შეკრთა და თავ-აუღებლივ ძლივს მოახერხა ეთქვა ხმის კანკალით.

„რა უნდა გითხრა, ლადო, არ მესმის, რას მეუბნები“.

„ნუ თუ არ გესმის, ქეთო, რომ... მიყვარხარ“... მოწყვეტით და თან გრძნობით წარმოსთქვა ლადომ და ქეთოს აღარ ახსოვს როგორ მოხვდა იმის თავი ვაჟის მძლავრ მკერდს.

„მეც მიყვარხარ, ჩემო ლადო“ — რაღაც ბავშური აღტაცებით სთქვა მან.

იმის შემდეგ ბევრი იტიტინეს იმან და ლადომ, ბევრი იმედები დაისახეს იმ ღამეს და ქეთოსაც გაუასკეცდა მოქმედების ძალა.

გავიდა ორი თვე, რაც ქეთო და ლადო დაახლოვდნენ. მოდიოდა მათი მოშორების დროც. ლადო რუსეთში უნდა წასულიყო, ქეთო კი ამ ქალაქში რჩებოდა მასწავლებლათ, მაგრამ ეს მას არ აღონებდა.

„რა ვუყოთ დავშორდები დროებით, მაგრამ სულიერად ხომ ერთად ვიქნებით, და ესეც რომ არ იყოს მალე ვნახავ, ერთი წლის მერე ხომ მაინც ჩამოვაო, — იტყოდა ხოლმე ფიქრებში წასული ქეთო. ეს ერთთავად კარგიც არის, ერთად ყოფნა მეტ დაახლოვების სურვილს იწვევს, რაც ახლა ჩვენთვის შეუძლებელია, რა დროს შეუღლებაა, ამდენი საქმეები არის ჯერ გასაკეთებელიო“.

„ჩემო ქეთო, ეტყოდა ხოლმე მას ლადო, როცა კოცნას დაუწყებდა, მე მინდა, რომ სულ მე მეკუთვნოდე, სულ ჩემი იყო“.

ქეთოს უყვარდა და ბედნიერი იყო, სრული ბედნიერი.

ახლაც ლექციის შემდეგ სახლში რომ მიდიოდა ქეთო ფიქრობდა: „რა კარგია, როცა რომელსამე მიზანს ემსახურები, გიყვარს შენი საქმე და თან გრძნობ, რომ გყავს ნამდვილი მეგობარი, რომელიც შენ ფიქრებს იზიარებს და თავის გამამხნევებელი სიტყვით წინ წაგიყვანს, მიზნის მისაღწევ გზას გაგიკაფავს“.

ამ ფიქრებში ქეთო სახლს მიუახლოვდა, საჩქაროთ აირბინა კიბე, შევიდა თავის ოთახში, მაგიდაზე დიასახლისისაგან დამზადებული ჩაი დახვდა, სიმშილი მოიკლა და ისის იყო დასვენებას აპირებდა, რომ შეამჩნია მაგიდის კუთხეში წერილი.

„ლადოსგან იქნება“ — სთქვა, და საჩქაროდ წერილი გადიკითხა.

„ჩემო კარგო, ქეთო, — სწერდა ლადო. ხვალ კარგი პიესა არის, იმედია, წამოხვალ თეატრში, ბილეთები ავიღე, საღამოს ჩემთან გამოიარე. ჩემი ამხანაგი დიტო ჩემთან იქნება და ერთად წავალთ. გკოცნი. შენი ლადო“. ქეთომ ერთი ათჯერ გადიკითხა წერილი. მერე სასოებით დაკეცა, აკოცა, შეინახა და მხიარული ღიმილით სახეზედ სხეულის დამამშვიდებელ ძილს მიეცა.

მეორე დღეს, დანიშნულ დროს ქეთო ლადოსკენ მიეშურებოდა: „ჩემი ლადო, ფიქრობდა ის, რა გულკეთილი და რა უეშმაკო რამ არის, ძალიან მიკვირს რა აქვს იმას და დიტოს საერთო, სულ არ მომწონს მისი პრანჭია ლაპარაკი.“

ეს დიტო ვერ ახდენდა კარგ შთაბეჭდილებას, ვერც თავის ლაპარაკით, და ვერც სახის გამომეტყველებით.

„რა უნდა გააკეთოს ქალმა, — სთქვა ერთხელ დიტომ, მისი მოვალეობაა მამაკაცს თავი მოაწონოს და მერე ოჯახს მოუაროს“.

ქალზე საზოგადოთ დიტო ძალიან დაბალი შეხედულების იყო.

ამისთვის ქეთოს ის არ უყვარდა.

მეტიჩარა, ტრაბახა იყო დიტო და ქეთოს ძალიან სწყინდა, რომ ის ისეთ მეგობრულ განწყობილებაში იყო ლადოსთან.

ამ ფიქრებში გართულმა ქეთომ კიდევაც მიაღწია იმ მოსახვევს, სადაც ლადოს სადგომი ბინა იყო.

საჩქაროთ აირბინა კიბე და ის იყო ოთახში შესვლას აპირებდა, რომ თავისი სახელი გაიგონა და შეჩერდა. ლაპარაკობდა დიტო.

ქეთოს არ ესიამოვნა, რომ თავის სახელი იმისგან გაიგონა და გულში ლადოს უსაყვედურა; „რა სულ წასულია ეს ლადო, რამდენი ვეხვეწე დიტოსთვის არაფერი ეთქვა ჩვენს დაახლოვებაზე, მაგრამ ვერ მოუთმენია და იმ ლაქლაქასათვის უთქვამს თავის გრძნობის შესახებ“.

კიდევ დააპირა შესვლა მათთან, მაგრამ უცებ თოფნაკრავივით უკან დაიხია.

„შენ მართალს ამბობ, დიტო, — მოისმა ლადოს ხმა, — არ ღირს მაგისთანა ქალებთან ბევრი ლაპარაკი. ათასნაირად გჭირდება თავის შემოვლა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდები. გააჭირა საქმე ამათმა ზნეობამ. ისე აქვთ გაჟღენთილი ძვალსა და რბილში, რომ ახლო ვერ წაეკარები. თუ რამეს გამორჩი ცოტას, ისევ იმით, რომ უნდა დაჰპირდე ცოლათ შერთვას. აქაური ქალი, რაც უნდა განვითარებული იყოს, ვერ გასცილდება ძველ ტრადიციების გავლენას. სად წარმოიდგენენ ისინი რომ.. Не то что въ Россіи, братъ, помнишь?“ — დაასრულა თავის ლაპარაკი ლადომ.

„Помню, братъ, помню, онѣ не похожи на твою высоконравственную Кето!“

ბით, თავის შრომით უღრან და მიუვალ ალაგებში მეურნეობა შეუქმნიათ. ისინიც ჩვენი კეთილ თანამოძმეებათ უნდა ვვეგულებოდეს.

გადავაგდოთ ცრუ ნაციონალიზმი და ეგოისტური წოდებრივი ინტერესი, თორემ ამგვარი პოლიტიკით და ამგვარ კანონ-პროექტების დამარხვით ჩვენ კიდევ ერთხელ მივცემთ ხელში საბუთს იმათ ვინც გვიკიჟინებს, რომ ჩვენ ყოველ კულტურულ საქმეს წინააღმდეგობას ვუწევთ და კულტურულ წარმატების უნარი დაკარგული გვაქვს.

გ. ნათაძე.

# ახალი ამბები.

ჩვენ ცნობილ ბელეტრისტს ნიკოლოზ ლომოურს, როგორც შევიტყეთ, გადუწყვეტია შეადგინოს ახლად გარდაცვალებულის ჩვენი მწერლის ანტონ ფურცელაძის ვრცელი ბიოგრაფია.

—

გაზ. „რუსკოე სლოვოს“ თბილისის კორესპონდენტი აცნობებს დეპეშით, რომ თბილისის საბჭოს ქართველმა ხმოსნებმა არ მიიღეს მონაწილეობა იმ დეპუტაციაში, რომელსაც დავალებული ჰქონდა საბჭოსაგან მიელოცა მეფისმოადგილე გრ. ილ. ვორონცოვ-დაშკოვისათვის ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ არჩევა.

—

რაჭიდან გვწერენ, რომ ახალმა მაზრის უფროსმა კაპიტანმა გამრეკლიძემ სოფ. ჟაშქვაში იმის გამო, რომ ხალხი 9 საათის მაგიერ შეიკრიბა შუადღისას, უბრძანა ბოქაულს მთელი ყრილობა „გაერეკა“ დ. ონში, რომელიც ამ სოფლის 12 ვერსტზეა. ხალხი მიდიოდა დარაჯებით შემორტყმული. მაზრის უფროსს ძალიან უყვირია, თურმე. მრავალი შეუსაბამო სიტყვაც წარმოუთქვამს. ნუ თუ ამ ახალ წესიერების მცველს დავალებული აქვს მშვიდობიან რაჭველების გაბრაგება?!..

—

ჩვენდა სამწუხაროდ გაზ. „ზაკავკაზსკაია რეჩმა“ ჩვენი გაზეთიდან პოლიტეხნიკუმის შესახებ წარსულ ნომერში დაბეჭდილ ვ. დ.—ის წერილიდან მოიყვანა მხოლოდ ერთი ნაწყვეტი, რომელიც სრულებით სხვა შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. მერე ამ ნაწყვეტს ჰქონდა მნიშვნელობა იმდენად, რამდენად პატივცემულ ავტორს სურდა ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიექცია საბურთალოს მიწების საზოგადო და სასარგებლო მოხმარებაზე. ხსენებულ გაზეთს თუ უნდოდა, ჩვენი რედაქციის აზრი ეცნობებინა სხვა საზოგადოებისათვის, უნდა მოეყვანა მთლად ჩვენი მოწინავე წერილი.

—

„არტისტულ საზოგადოების“ მთელი შენობა შეიძინა ფითოევის ფირმისაგან მილიონერმა ავან—იუზბაშევმა, რომელმაც სომხის დასს დაუთმო კვირაში ორი დღე სომხურ წარმოდგენების გასამართავად უფასოდ.

—

16 დეკემბერს თბილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია ლიტერატურული საქმე ჩვენი რედაქტორის გრიგოლ დიასამიძისა. მას ბრალად სდებენ, რომ გაზეთ „ლუჩიდან“ მოიყვანა „თემში“ სომხეთა საკითხის შესახებ ისეთი წერილი, რომელშიაც გაკიცხულია მთავრობა.

—

ხუთშაბათს, 12 დეკემბერს ქართულ თეატრში, გაიმართება ბენეფისი ახალგაზრდა და ნიჭიერ მსახიობ ქალის **მარო მდივანის ასულისა.** წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა რომაელთა წარსულ ცხოვრებიდან **„ახალი მოძღვრება“.** ქ-ნი მ. მდივანის ასული თითქმის თორმეტი წელიწადია რაც ემსახურება ეროვნულ თეატრს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

—

ლეჩხუმიდან საზარელი ამბავი მოვიდა. დ. ლაილაშში 300-ზე მეტი სახლი გადამწვარა.

# „კოტიკი“.

—მე კი არა ვარ, ექიმო, ავათ, ჩემი მეუღლეა. ვიცი არაფერი არ ეშველება, რადგანაც ჭლექი სჭირს. სად არა მყავდა! ახლა თქვენი ნახვა აიჩემა და მოვიყვანე. გევედრებით, ღვთის გულისათვის იმას ნუგეშს ეტყვით, გაამხნევეთ. ყველას ამას ეკითხება საწყალი; მოვრჩები, თუ არაო—ეუბნებოდა ექიმს მაღალი ტანის, ლამაზი სახის ულვაშებ აწკეპილი ახალგაზრდა. იმის სახეზე სევდა და მწუხარება იხატებოდა; თვალებზე ცრემლი ეკიდებოდა.

—დიდიხანია, ჯვარდაწერილი ხართ?

—რვა თვეა, ექიმო! მხოლოდ რვა თვე, რაც ჯვარი დავიწერეთ.

—სჩანს, ქალიშვილობაშიაც ავათა ყოფილა!

—სამი წელიწადია, ერთმანეთს ვიცნობთ. არაფერი არ ეტყობოდა, სრულებით.

—დედმამა საღი ჰყავს?

—დედაც და მამაც სრულებით კარგათ არიან.

—ანდა ძმა ჭლექით ხომ არ მოჰკვდომია?

—არა თუ მაგათ ოჯახში, მაგათ გვარში ჭლექიანი სრულებით არავინ არა ყოფილა და საშინლად მიკვირს, მაგას საიდან გაუჩნდა.

—მემკვიდრეობის გარდა სხვა მიზეზებიც ბევრი აქვს ჭლექს. შემოიყვანეთ.

ახალგაზრდა გამობრუნდა ექიმის კაბინეტიდან და მალე შემოიყვანა მისაღები ოთახიდან თავისი ცოლი.

—დაბრძანდით!-მიუთითა სკამზე ექიმმა.

—არა მიშავს რა, ექიმო! უპასუხა ქალმა.

ის იყო საშუალო ტანის, შავგვრემანი. თუმცა ავათმყოფობას თავისი დაღი დაემჩნია, მაგრამ იმის სახეზე სილამაზე მაინც მთლათ ვერ წაეშალა. გამხდარი იყო, ფერმკრთალი, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოთ ლამაზი, ჯერ კიდევ მიმზიდველი.

ქალმა გაიხადა ზედატანი. ძვლები სათითაოთ დაითვლებოდა.

—საკმარისია, ჩაიცვით—წარმოსთქვა ექიმმა გასინჯვის შემდეგ.

ქალმა ტანისამოსი ჩაიცვა.

—როგორა ჰგრძნობთ თავსა?—დაეკითხა ექიმი.

—თავი ორსულად მგონია, გულიც მერევა ხოლმე.

ქალმა ცოტა გაიღიმა, თვალები გაუბრწყინდა, ლოყებზე წითელმა ფერმა გადაჰკრა და ქმარს გადახედა.

—ქალის ექიმს რომ თავი აჩვენოთ, კარგს იზამთ.

—ვერა, ვერა, ექიმო! ვიცი, მაშინათვე მეტყვის მუცელი უნდა წაიხდინოო.

—მერე რა ვუყოთ! თუ საჭირო იქნება, კიდეც უნდა წაიხდინოთ.

—რას ამბობთ, ექიმო!

—ძალიან გინდათ შვილი?

ქალმა პასუხი არ გასცა, მხოლოდ გაიღიმა, ქმარს გადახედა ნეტარებითა და სიყვარულით სავსე თვალებით და თავი ძირს დახარა.

—ჯერ თქვენ ძალიან ახალგაზრდა ხართ, შვილს მერეც მოესწრებით.

—რას მეტყობთ, ექიმო, მოვრჩები? დაეკითხა ქალი უცებ.

—რა თქმა უნდა, მორჩებით! ღიმილით მიუგო ექიმმა და პირდაპირ თვალებში შეაჩერდა ავათმყოფს.

—რა მჭირს, ექიმო?

—კატარი გაქვთ მარცხენა ფილტვისა. უნდა თავს მოუაროთ, საჭმელი ბლომათა სჭამოთ, რომ გასუქდეთ და გაივლის.

—მაშ ჭლექით ჯერ არ არის გადაქცეული?—კიდევ დაეკითხა ავათმყოფი და ექიმს თვალი გაუყარა.

—არა, ჭლექს რა უნდა! მაგრამ თუ არ მიეძალეთ, დასუსტდებით და ავათმყოფობაც გაგიძნელდებათ.

—რა ვქნა, რაც შემიძლია, საჭმელს ვეძალები.

ექიმი დაჯდა და რეცეპტის წერა დაიწყო.

ქალი ქმარს ამოუდგა გვერდში, ბეჭზე თავი დაადვა, მკლავში ხელი გაუყარა და ოდნავ ზედ ჩამოეკიდა.

—კოტიკ! ჰკითხე ექიმს, ზღვის ჰაერი როგორ იმოქმედებს ჩემზე, უთხრა მან ქმარს და თან ისეთის თვალებით შეხედა, რომლებშიაც ენით გამოუთქმელი სიყვარული იხატებოდა.

—ექიმო, თუ ჩემი ცოლისათვის ზღვის ჰაერი სასარგებლო იქნება, შემიძლია, ეს ზამთარი სოხუმში გავატარო,—მიმართა ახალგაზრდამ ექიმს, როცა უკანასკნელმა რეცეპტის წერა გაათავა.

—თუ ახლავე მოახერხებთ სოხუმში წასვლას, ძალიან კარგი იქნება. ზაფხულში კი აბასთუმანი აუცილებლათ საჭიროა.

—კოტიკ! წავიდეთ სოხუმში, მე იქ მალე კარგათ გავხდები!—წარმოსთქვა ნაზის ხმით ქალმა და კიდევ უფრო მიეკრა ქმარს მკლავზე, თითქოს ეშინოდა არავინ წამართვასო.

— ჩვენ ამდღეებშივე შეგვიძლია, სოხუმში წავიდეთ; ზაფხულს კი აბასთუმანში გავატარებთ წარმოსთქვა ქმარმა.

—ძალიან კარგი იქნება, ძალიან კარგი,—წარმოსთქვა ექიმმა და დაარიგა ავათმყოფი, თუ ან წამლები როგორ უნდა ეხმარა, ან საჭმელი როგორ უნდა ეჭამა.

—მაშ მოვრჩები, ექიმო? დაეკითხა წასვლისას ავათმყოფი და ღიმილით თავი დაუკრა.

—რა თქმა უნდა, მორჩებით! ქალები ყოველთვის აგრე ეჭვიანები ხართ,—გაეხუმრა ექიმი და ღიმილით ხელი ჩამოართვა ორივე ცოლ-ქმარს...

**ათი თვის შემდეგ.**

—მიცანით ექიმო?—დაეკითხა ღიმილით კაბინეტში ექიმს შემოსვლისთანავე მაღალი ტანის, ლამაზი სახის ულვაშებ აწკეპილი ახალგაზრდა.

ექიმი ხან ყმაწვილკაცს მისჩერებოდა ხან მასთან ერთათ შემოსულ მაღალი ტანის, მარილიანი სახის ახალგაზრდა ქალს და თან სცდილობდა, მოეგონებინა, თუ სად ჰყავდა ორივე ნახული.

ყმაწვილკაცს კი ტუჩებზე ღიმილი არა შორდებოდა.

—მე მეცნაურებით კი, მაგრამ, სად გაგიცანით, აღარ მახსოვს მიუგო ექიმმა ცოტა ხანს შემდეგ.

—გახსოვთ იანვარში რომ ვიყავით თქვენთან, მე და ჩემი ცოლი, ჭლექი რომ სჭირდა?

დიაღ, დიაღ, მომაგონდა, როგორ არა წამოიძახა ექიმმა და კიდევ უფრო შეაჩერდა ყმაწვილ ქალს.

—ნუთუ ეს ის ქალია?—გაუელვა ექიმს გულში.

—ის მაისში გარდაიცვალა ექიმო! განაგრძო ყმაწვილმა. საწყალს როგორ სწყუროდა სიცოცხლე! უკანასკნელ დღეებში სულ აღარ მიშორდებოდა. ეს ჩემი მეორე ცოლია. აგერ ახლა დავიწერეთ ჯვარი და გაიგო თუ არა, რომ ის ჭლექით მოკვდა, ჩამცივდა, გინდა თუ არა, ექიმს გაესინჯვინე, ჭლექი ხომ არ გადაგედვაო. მე ჩემს თავს სრულებით არაფერს ვატყობ.

—კოტიკ! ექიმი რომ გაგსინჯავს, მე უფრო დამშვიდებული ვიქნები,—წარმოსთქვა ახალგაზრდა ქალმა. რა იქნება, რომ ჩემი გულისათვის გაასინჯვინო თავი!

—თუმცა შეხედულება კარგი გაქვთ მაგრამ მაინც უმჯობესია, გაგსინჯოთ—წარმოსთქვა ექიმმა, აიღო ჩაქუჩი და სტეტასკოპი და წამოდგა ზეზე....

**ივ. გომართელი.**

# საწყენი ტენდენცია.

ევროპიულ პრესაში, რუსულზე ხომ რაღა მოგახსენოთ, ხშირად შეხვდებით, თუ როგორის ზვიადობით და მედიდურობით იხსენიებენ ხოლმე აღმოსავლეთის ხალხთა.

ამგვარმა ტენდენციამ გააჩაღა საშინელი მძულვარება ევროპიელებისადმი მათ ახალშენებში (კოლონიებში) მოსახლე ტომებში. ამ მძულვარებამ იმდენად იმატა, რომ აზიაში ეგრედ წოდებული „ყვითელი საფრთხეც“ კი დაინახეს.

რასაკვირველია, ყველა ამას ადგილი არ ექნებოდა, მეტის პატივისცემით რომ ყოფილიყვნენ აღჭურვილნი ამ ტომებისადმი ეს ევროპიელ-ამერიკელები, რომელნიც თავიანთ თავს უმაღლეს განათლების მატარებლად სთვლიან.

მაგრამ ახლანდელი ბურჟუაზიული საზოგადოების მადის დაკმაყოფილება თხოულობს ბაზრის გაფართოებას, რაც იწვევს ახალ-ახალ ადგილების დაპყრობას. აი ამ „საქმიანობის“ გასამართლებლად სჭირდებათ ხოლმე აღმოსავლეთის და ზოგიერთ სხვა ქვეყნის ხალხთა დამცირება, რომ რა არის, ამით მაინც დააჯერონ ყველანი კულტურას ვავრცელებთ „ბარბაროსთა“ შორისო. ხშირად კი თვით ეს „ბარბაროსები“ უფრო მაღლა სდგანან „განათლებულ“ ევროპიელებზე. გაიხსენეთ ბალკანეთის უკანასკნელი ამბები. განა ბერძნებმა, სერბიელებმა, რუმინელებმა და ბულგარელებმა არ გადააჭარბეს ბარბაროსობაში თვით ოსმალოებს?...

დიაღ! ასეთია სხვა და სხვა ერთა დღევანდელ გაბატონებულ კლასების მიმართულება და ტენდენცია!.. ჰფიქრობ: ასე ხომ ყოველთვის არ იქნება... მოხდება ისე, რომ მათ ადგილს დაიკავებს სულ სხვა ელემენტი, რომელიც სხვაფრივ მოწყობს ყოველისფერს და ამიტომ დიდის სიხარულით ეგებები ჭეშმარიტ—დემოკრატიულ პრესაში ისეთ წერილებს, რომელშიაც ყველაფერი ეს დიდის ნიჭით ახსნილია და რომელშიაც ხშირად დიდი პროტესტიც გაისმის ხოლმე „განათლებულ“ გაბატონებულ კლასებისგან უცხო ხალხთა დამცირების წინააღმდეგ...

ახლა, წარმოიდგინეთ, რამდენად უნდა შეწუხდეს თანამგრძნობი კაცი, როდესაც სწორედ ამისთანა ჭეშმარიტ-დემოკრატიულ ორგანოში აღმოიკითხავს ხოლმე შეუსაბამო სტრიქონებს და ამბებს.

ჩემ წინ დევს „ნოვაია რაბოჩაია გაზეთ-ის“ ამ წლის 23 ნოემბრის ნომერი (89), იმ გაზეთის, რომელიც პეტერბურგში გამოდის და გავრცელებულია მთელი რუსეთის მუშებში. ამ ნომერში დასტამბულია წერილი სათაურით „ალლაჰის ნება“ (ვოლია ალლაჰა).

ავტორი ნ. ბ.—ვი სამართლიანად ჰგმობს იმ მზაკვრულ მოქმედებას, რომელიც ჩაიდინა ოსმალეთის ახლანდელმა მთავრობამ და რომელიც გამოიხატა შემდეგში. მოტყუებით და მზაკვრულად დააპატიმრა ოსმალეთის პოლიციამ რუსულ გემზე პოლიტიკური დამნაშავე მუსტაფა, რომელსაც დიდი ვეზირის მაჰმუდ-შევკეთფაშის მკვლელად სთვლიდენ. ეს მუსტაფა ახალ-ოსმალებმა საპყრობილეში ჩაგდეს და მოჰკლეს. როდესაც დიპლომატიური დავიდარაბა ასტყდა ამის-გამო და რუსეთის მთავრობამ მოითხოვა მუსტაფას განთავისუფლება, დიდი ვეზირი ოსმალეთისა თვითონ მივიდა რუსეთის ელჩთან, ბოდიში მოიხადა და განუცხადა: „სამწუხაროდ, მუსტაფამ თვითონ მოიკლა თავი საპყრობილეშიო“. ეს სიცრუე, რასაკვირველია, არავინ დაიჯერა, ოსმალეთის მთავრობას მოსთხოვეს მუსტაფას გვამი გასასინჯად. დიდმა ვეზირმა, რომელმაც კარგად იცოდა, რომ ქვეყნიერობა გაიგებდა, თუ როგორ აწამეს და დასაჯეს უბედური მუსტაფა, უპასუხა რუსეთის ელჩს: „გვამის გარდმოცემა გასაჭრელად არ შეგვიძლია, რადგანაც ამის ნებას ჩვენი სარწმუნოება არ გვაძლევსო“.

ზემოხსენებული გაზეთი სრულიად საფუძვლიანად ჰფიქრობს, რომ მუსტაფა აწამეს საშინლად და რომ „წამება მიღებულია აღმოსავლეთის ხალხთა პოლიციაში, რომელიმც შეაერთა მონური ქედისმოხრა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე და სადის მტარვალობა დაპატიმრებულთა მიმართ“.

მაგრამ ჩვენ სრულებით ვერ გაგვიგია იმავე გაზეთის შემდეგი სიტყვები:

**„რომ აწამეს,—ეს ეჭვს გარეშეა. სხვაფრივ არც შეიძლება მოხდეს ამ აღმოსავლეთის ხალხებში, რომელნიც ევროპიულ კულტურის გარეგან ელვარების ქვეშ ჰმალავენ მამების და თემურ ლენგების კანონიერ ან უკანონო შვილების სულის თვისებებს“**

რა შუაშია აქ მთლად ხალხი, როდესაც თვით გაზეთი იხსენიებს, რომ წამების ჩამდენი მთავრობა იყო?!

გაზეთის თვალსაზრისი თუ მივიღეთ, მაშინ ხომ ზედ-მისრული „განათლებული“ ბევრ სხვა ხალხსაც აშორდება.

ნუ თუ ხსენებულმა ჭ.—დემოკრატიულმა ორგანომაც შეითვისა ბურჟუაზიულ პრესის **დასაწყენი ტენდენცია?;...**

ეჰ, მახლას:...

**მართლისმთქმელი.**

# ჩვენი ქვეყნის ავ-კარგი.

**მისაბაძი მაგალითი.**

20 ნოემბერს ქვემო რაჭაში, როგორც ამას ჩვენი კორესპონდენტი იწერება „თემის“ № 152-ში სოფ. ხვანჭკარაში ფრიად მნიშვნელოვანი სხდომა მომხდარა. ეს კრება რაიმე საპოლიტიკო ან სხვა ამის მსგავს კითხვების გადასაწყვეტათ არ ყოფილა მოწვეული. ამ დღეს ზემოხსენებულ სოფელში შეიკრიბნენ რაჭის და ლეჩხუმის წვრილ მეურნეთა ან უკედ ვსთქვათ, მშრომელ ხალხის წარმომადგენელნი და თავის საარსებო კითხვებზე იწყეს მსჯელობა, შეუდგნენ იმის გამორკვევას, თუ როგორ და რა საშუალებით შეიძლება თავიანთ მეურნეობის ამ ერთად ერთი ცხოვრების უტყუარი სალსრის არა მარტო რაჭა-ლეჩხუმისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის გაუმჯობესება და შესაფერ დონეზე დაყენება. ეს კრება ისეთი დიდ მნიშვნელოვანია და სამაგალითოც, რომ მეტი არ იქნება, თუ ცოტაოდენ ხანს მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მასზე.

აქ ადგილობრივი გლეხების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ და რეზოლიუციაც გამოიტანეს, რომელსაც მთელი ქართველი ხალხისათვის მნიშვნელობა აქვს და რომელიც არსებულ ყოფა-მდგომარეობის ღრმად დაკვირვებისა და შესწავლის ნიმუშია. კაი ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი ლაპარაკობენ, რომ ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, მისი გონებრივი და ნივთიერი წარმატება უმეტესად მეურნეობაზეა დამყარებული, და რამდენად ეს უკანასკნელი განვითარებული და შესაფერ დონეზე დაყენებული იქნება, იმდენად ჩვენი ერიც ბედნიერი იქნებაო. მაგრამ ჩვენში მეურნეობა არამც თუ განვითარებული არ არის, არამედ იგი პირველყოფილ მდგომარეობაშია ახლაც, და ამიტომ ჩვენი ხალხის ჭირისუფალნი სწორედ კულტურულ მეურნეობისაკენ მოუწოდებდნენ და მოუწოდებენ ახლაც ქართველ გლეხკაცობას. აი ამ კულტურულ მეურნეობისათვის კი შესაფერი სწავლა განათლებაა საჭირო, რომლის შეძენაც მხოლოდ სპეციალურ სასწავლებელში შეიძლება.

ასეთი მოწოდება, საუბედუროდ ჩვენდა, ხშირად რჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. ჩვენს ქვეყანაში იმის მაგივრად, რომ სამეურნეო სასწავლებლები დაეარსებინათ, უმეტეს ნაწილად ხალხი, რომელსაც შეგნებული ელემენტები ხელმძღვანელობენ, გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებს აარსებდა. მარტო ასეთი სასწავლებლები ჩვენი ხალხისა და ქვეყნისათვის სრულიად საკმარისი არ არის, ხშირად ასეთი ტიპის სასწავლებლებიდან ჩვენ ქვეყანას მარტო მოხელეები ემატება, რომელნიც ქართულად ლაპარაკსაც კი თაკილობენ, ასეთი სასწავლებლის დაარსებისათვის კი ყოველ გვარ საშუალებას ხმარობენ და საჭირო წვლილსაც დაუზარებლად იღებენ.

ჩვენდა საბედნიეროდ რაჭველმა მშრომელმა ხალხმა, რომელიც სხვა ჩვენი ქვეყნის მხარეზე ბევრად ჩამორჩენილად მიაჩნია ბევრს კულტურული მხრით, ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის ვითარებას ჯეროვანი ალღო აართვა და ამით თავისი კულტუროსნობაც დაამტკიცა. სოფ. ხვანჭკარაში მოწვეულმა სამეურნეო კრებამ, რომლის უმეტესობას გლეხები შეადგენენ, ერთხმად ის აზრი გამოსთქვა, რომ მეურნეობის ასაყვავებლად და განსავითარებლად აუცილებლად საჭიროა სპეციალური სასწავლებლის დაარსება. ამის შესახებ რეზოლიუციაც გამოიტანეს და კიდევაც შესდგომიან სიტყვის საქმედ ქცევას. სწორედ სასიამოვნოა, რომ რაჭველმა გლეხობამ შეიგნო ის მარტივი ჭეშმარიტება, რომ ჩვენი გლეხის სიმდიდრე ჩვენსავე მიწაშია დამარხული და მისი ცდაც იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ამ მიწას გული გაუღოს და შიგ ჩამარხული სიმდიდრე ამოიღოს და მით ისარგებლოს. ამ მხრივ რაჭველებმა და ლეჩხუმლებმა მეტი უნარი გამოიჩინეს თავის ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში, ვიდრე ჩვენი ქვეყნის იმ ნაწილებმა, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობენ და მარტო გიმნაზიებს იარსებენ.

ჩვენი მხრით არ შეგვიძლია სიხარულით და თანაგრძნობით არ შევხვდეთ რაჭა-ლეჩხუმის გლეხობის თვალ-საჩინო გამოფხიზლებას და ვუსურვოთ, რომ ის სამაგალითო რეზოლიცია, რომელიც სოფ. ხვანჭკარაში გამოიტანა მან თავის სხდომაზე, მალე საქმედ ქცეულიყოს. ასეთი კრებები, რომ სხვა ჩვენ კუთხეებშიაც გაიმართებოდეს, დიდად სასარგებლო იქნება. ურიგო არ იქნება, რომ კახელებიც მიჰბაძავდნენ რაჭველების მაგალითს და თავის მხარეში ასეთს სასწავლებელს დაირსებდნენ, რომელიც დაუფასებელ სამსახურს გაუწევს მათ მევენახეობას და მეღვინეობას.

**არ. სოჩბელი.**

# რაფიელ ერისთავის

**გარდაცვალების ათი წლისთავი.**

წელს, თებერვალში შესრულდა 10 წელიწადი, რაც თელავში გარდაიცვალა ჩვენი დიდებული მწერალი რაფიელ ერისთავი.

რაფიელმა თავის სიცოცხლის უკანასკნელი წლები თელავში გაატარა, აქვე გარდაიცვალა, საიდანაც დიდებულად 18 ვერსის სიშორეზე ხელით წაასვენეს და დაასაფლავეს იქ, სადაც პოეტს „მამა-პაპათა კუბოს ფიცარი ეგულებოდა“—თავის სამშობლო სოფ. ქისტაურში.

სამშობლო მიწამ ღრმად ჩაიკრა გულში დიდებული გვამი, ხოლო საზოგადოებამაც ასევე ღრმად დამარხა მისი ძვირფასი სახელი.

თელავში არაფრითაა აღნიშნული მწერლის ამ ქალაქში ცხოვრება, ხოლო თვით საფლავი, როგორც ეს გაზ. „თემის“ მკითხველთ უკვე მოეხსენება, მალე აღიგვება პირისაგან დედამიწისა.

ეხლა წ.-კ. საზ. თელავის განყ. გამგეობამ მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება და განყოფილების საზოგადო კრებაზედ 17 ნოემბერს შეიტანა განსახილველად რ. ერისთავის გარდაცვალების 10 წლისთავის აღნიშვნის საკითხი. კრებამ ძლიერ მოიწონა და თვით გამგეობას მიანდო ამ საკითხის გეგმის შემუშავება და სისრულეში მოყვანა.

ჩვენის აზრით ამ დღის აღნიშვნა ბრწყინვალედ უნდა მოეწყოს თელავში: იმ ქუჩას, რომელზედაც პოეტი დაიარებოდა, რაფიელის სახელი უნდა ეწოდოს, ხოლო სახლს—მარმარილოს ფიცარი მიეკრას შესაფერი ზედ-წარწერით. რასაკვირველია პანაშვიდი ამ სახლის ეზოში იქნება გარდახდილი და ამისათვის პროცესია დასაფლავებაზე შემუშავებულ გეგმას უნდა წარმოადგენდეს, ამავე დღეს—კიდევ გაიმართება რაფიელის საღამო.

რაც შეეხება თვით საფლავს, ეხლავე უნდა რკინის მოაჯირი შემოეკრას, ხოლო ძეგლის დადგმის საკითხი მიენდობა ფართო საზოგადოებას, რადგანაც წ.-კ. საზ. თელავის განყოფილება ვერ შესძლებს ამის განხორციელებას უსახსრობის გამო.

**დავიწყებული.**

# ბეილისის ნათესავი სოფ. ბანძაში.

ქუთაისურ გაზ. „სიტყვაში“ შემდეგი აღსანიშნავი წერილია დასტამბული:

„ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო იმ საზოგადოებას, რომელიც სიხარულით მიეგება ჩემი ბიძის მენდელ ბეილისის ტყვეობიდან განთავისუფლებას და საზიზღარ ცილის-წამების გაბათილებას. უპირველესად გულითად მადლობას ვუძღვნი დ. ონის რაბინ ბ. ბააზოვს, რომელმაც ეს სასიხარულო ამბავი იუქმა და სადილი გამართა მისი მრევლის თანადასწრებით და ლოცვა-კურთხევით მოიხსენია ყველა ის, ვინც ჩემი ბიძის გამართლებას ხელი შეუწყო და კერძოდ გაზ. „მერცხალს“, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს და მედგრად მხარი დაუჭირა სიმართლეს. ამასთანავე გულითად მადლობას ვუძღვნი ბ. დ. აჯიაშვილს, რომლის თაოსნობით ნოემბრის 22-ს ბეილისის განთავისუფლების სახსოვრად ბანძის ებრაელობამ იუქმა ბ. აზრამ აჯიაშვილის სახლში.

მ. ბეილისის ძმისწული.

დ. ბანძა.

---

„რა ვქნა, ძმარ,—სთქვა ისევ ლადომ, ძალიან ლამაზი გოგოა და მენანება, სულ ასე უნაყოფოთ ჩავარონიო ამდენი შრომა, კიდევ ვსცდი“.

ქეთო გონება დაკარგული იდგა კარებთან და მთელი სხეულით ცახცახებდა.

„რა დამცირება, რა სირცხვილი, ოჰ, ღმერთო, რა სირცხვილი“...—ბუტბუტებდა ის ძალა გამოლეული. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა ისევ ლადოს ხმა.

„ოჰ“, აღმოხდა ქეთოს გულის სიღრმიდან კვნესა. მოტრიალდა საჩქაროთ კიბის საფეხურები ჩამოირბინა და უმიზნოდ გაჰყვა გზას.

„როგორ შევცდი, რა დამემართა“... ლუღლუღებდა საბრალო ქალი.

„თვალთმაქცი, ცბიერი და მე კი სიმართლის განხორციელება მეგონა, მერე რისთვის თვალთმაქცობდა? რომ შეძლება ჰქონოდა დამტკბარიყო ახალგაზრდა ქალის სიახლოვით? როგორ მოვსტყუვდი! ვის გადვუშალე ჩემი გული. „გაჰქრა რწმენა, მოისპო სიყვარული, ასე ერთბაშად, ასე მოულოდნელად“.

ქალის სახე გაქვავებულიყო მეტის სიმწუხარით.

„მეც წავყვები თან ჩემ სიყვარულს“ გადაწყვიტა ქეთომ და იმის სახეს სიხარულის შუქმა გადაჰკრა.

„მალე, ჩქარა, ნაცნობ წყლისპირისკენ, სადაც მე და ლადო ხშირად ერთად ვისხედით ხოლმე, იქ ვნახავ მე დაკარგული სულის სიმშვიდეს“. გაიფიქრა ქეთომ და ნაცნობ ადგილისკენ გაეშურა.

ხალხი ირეოდა ქუჩებში, ნაცნობები ქეთოს სიხარულით სალამს აძლევდენ, მაგრამ შეხედავდენ რა იმის გაფითრებულ სახეს, გაკვირვებით თვალს აყოლებდენ.

ქეთო თან და თან ფეხს უჩქარებდა, რადგან ატყობდა, რომ ძალა ჰღალატობდა. „მალე, მალე ვუშველო თავს,—ფიქრობს ქეთო, იქ მდინარის ძირში უნდა ვიპოვო ჩემი დაკარგული რწმენა“.

მიუახლოვდა მდინარეს. ერთ ადგილს შეჩერდა. მოაგონდა, რომ იქ სადღაც, ახლო, ამის ამხანაგი ქალის ბინა იყო. საშინელი გულის ტკივილი იგრძნო. ისევ განაგრძო გზა.

მიდის ქეთო და ვერაფერს ამჩნევს ვერც საღამო ხანის მოახლოვებას, ვერც ნელ სიოს, რომელიც ალერსიანათ აფოფინებს იმის ხუჭუჭ თმას, ვერც ახალგაზრდა ქალს, იმისკენ მომავალს, არ ესმის არც იმის სიტყვები:

„ქეთო საითკენ? როგორი სახე გაქვს. ისე გამოიყურები თითქოს ვიღასაც გაეცარცვეო“.

ქეთომ შეხედა ქალს, სახეზედ რაღაცა გამოურკვეველმა ღიმილმა გადუარა.

„ბაბო, შენა? ხო აქეთ მივდივარ, მართალს ამბობ გამცარცვეს, გამცარცვეს, სასტიკათ მომეპყრენ—ხმის კანკალით უპასუხა ქეთომ მისკენ მომავალ ქალს, მაგრამ რომ შეამჩნია ბაბო გაკვირვებით შესჩერებოდა, დაუმატა: არაფერია, ბაბო, გეხუმრები, აქეთკენ საქმე მაქვს მიმეჩქარება,—საჩქაროთ დაათავა ქეთომ და გაიწია წასასვლელათ.

„მოიცა, ქალო, შეაჩერა ბაბომ, შენთან სიტყვა მაქვს, ჩვენი წრის თავმჯდომარემ გთხოვა დღეს ნახო, რაღაცა საქმეა გასაკეთებელი, უშენოთ არ გაკეთდება, თურმე, უთუოდ წავიდეთ, მეც შენთან წამოვალ“.

ქეთოს გააჟრჟოლა, გულზე სითბომ გადაუარა, თვალთ დაუბნელდა, წაბარბაცდა, მერე ისევ გასწორდა.

ერთ ხანს გაქვავებულივით იდგა, შემდეგ იგრძნო, რომ ძალა თან და თან ემატება, იგრძნო რაღაცა სიხარული გაუზომელი, ჩასჭიდა ხელი მაგრათ ბაბოს და უთხრა:

„წავიდეთ, ჩემო ბაბო, წავიდეთ, უჩვენოთ მართალია, არაფერი არ გაკეთდება და ჩვენც ვალდებული ვართ საზოგადო საქმეს ვანაცვალოთ პირადი „მე“.

ქეთო თავის საყვარელ საქმისაკენ გაეშურა.

**ციცინათელა.**

## ოცდახუთის წლის სამსახური ეპისკოპოზ ლეონიდესი.

ამა წლის ღვინობისთვეში შესრულდა ოცდახუთი წელიწადი, რაც ეპისკოპოზი ლეონიდე პირნათლად ემსახურება თავისს მშობელ ეკკლესიასა და სამწყსოსა. არც სასულიერო უწყებამ, არც რომელიმე სასულიერო პირმა არ გაიხსენა ეს ოცდახუთი წლის ღვაწლი ეკლიან გზაზე მავალის მღვდელ-მთავრისა. ჩვენი სამღვდელოება ისეა დაუძლურებული, შელახული, რომ თავისი საზოგადო უკუაგდო და ლოკოკინასავით ჩაძვრა თავის საფშში, რათა შიგ მოიხრჩოს. არავისთვის მას არა სცალიან, მხოლოდ თავის ტყავს უფრთხილდება.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდე აკადემიაშივე შესდგა ბერად თვისი ბიძის, ნეტარ ხსენებულის მღვდელ-მთავრის ალექსანდრის რჩევითა. ჯერ იგი იყო ქრისტიანობის აღმადგენელ სკოლების ინსპექტორად, შემდეგ დაინიშნა სრულიად საქართველოს სასინოდო კონტორის წევრად არქიმანდრიტის ხარისხით. 1898 წ, როდესაც ეპისკოპოზი ალექსანდრე დაინიშნა გურია-სამეგრელოს მღვდელ-მთავრად, არქიმანდრიტი ლეონიდე აღყვანილ იქმნა ქორეპისკოპოზის ხარისხზედ ფლაბიანე ექსარხოსის დროს.

ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ მთელი ოცდახუთი წელიწადი ეკლიანი გზით იარა. მისი პირდაპირობა, სიმართლის მოყვარეობა, ტრფიალი სამშობლო ეკკლესიისა და ერისა არავის ეპრიანებოდა და ამიტომ მისი სავალი გზა ეკლით იფინებოდა. მაგრამ ყოვლად სამღვდელო დაწყებიდამ სამსახურისა დღემდე უდრეკლად მიისწრაფის დასახულ მიზნისაკენ, ელტვის თვის ვარსკვლავსა. კარგად აქვს შესისხლხორცებული მოძღვრება **ჯვარცმულისა**: „აღიღე ჯვარი და შემომიდექ მე", მოძღვრება წამებულის დიდი ილიასი—„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს",—აი, ეს მოძღვრებანი ასულდგმულებენ მას და ატანინებენ ცხოვრების სიმწარეს.

მღვდელ-მთავარს ლეონიდეს ღირსეული ამხანაგი ჰყავს, რომელსაც მასზე მეტად ძნელი ბედი ხვდა, რომელიც დღემდე სვამს სამსალასა და მოკლებულია სამშობლო ცასა—ეპისკოპოზი კირიონი ნეტავი მათ, ორთავეს, რომ სიმწარეში მყოფნი მაინც ეტრფიან **თვისს ვარსკვლავს** და არა ადრკობთ რა!!..

განსაკუთრებით მწარე იყო მღვდელ-მთავარ ლეონიდესათვის სამსახური აწ განსვენებულის ექსარხოსის დრო. ამ დროს იგი უწყალოდ იდევნებოდა: ჩამოერთვა შიო-მღვიმის უდაბნოს წინამძღვრობა, ალვირ-ახსნილ მაბეზღრობას და უსამართლო საჩივრებს მის წინააღმდეგ ფართო გზა მიეცა, ერთის სიტყვით მისი ჩამოყენება ლამოდათ.

მაგრამ საცა სიმწარე არ არის, იქ არც სიტკბოებაა. მოვალეობის აღმასრულებელ ადამიანისათვის სიმწარეში სიტკბოებაა, იგი შვებად ითვლის ვნებასა, რაკი იცის, რომ მისი ვნებით, მისი სიმწარით მის ხალხს ოდესმეც არის შვება ლხენა და სიტკბოება მიენიჭება.

გულწრფელად გილოცავთ სასიქადულო ენა-მჭევრო, სიმართლის მქადაგებელო მოყვარევ შენის ეროვნული ეკკლესიისა და სამწყსოსი, მღვდელ-მთავარო ლეონიდე, შენი ოცდახუთის წლის დაუღალავ მოღვაწეობას!..

**ს. დირბელი.**

## სალამო თბილისის სასულიერო სემინარიაში.

ლიტერ.—მუსიკალურ სალამოებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლე ახალგაზდობის ცხოვრებაში და როცა ამგვარი სალამოები იმართება რომელსამე სასწავლებელში, ძლიერ სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამისთანა სალამოები გადაიქცევიან ხოლმე ნორჩ გულთა ნამდვილ დღესასწაულად. ამ დროს განიცდიან უსაზღვრო აღტაცებას და სიხარულს ის ახალგაზრდები, რომელნიც უმეტესად უფერულად ატარებენ საუკეთესო დროს, ადამიანის ცხოვრებისას, ამ სალამოებზე მოსწავლე ახალგაზრდობა სცდილობს მოსაწონი სახით ეჩვენოს საზოგადოებას; სცდილობს გამოიჩინოს თავისი ნიჭი და ხელოვნება მუსიკის და ლიტერატურის დარგში. ეს სალამოები აძლევს მონაწილეს მრავალგვარ განცდას, შთაბეჭდილებას, უვითარებს მათ ესთეტიურ გემოვნებას. მხოლოდ მაშინ შლის ფრთებს ერთსულოვანი აღტაცების ატმოსფერაში მათი ოცნება.

ერთი ამგვარი სალამო გაიმართა ეკლესიის დღესასწაულის გამო თბილისის სასულიერო სემინარიაში 1 დეკემბერს, რომელიც შესდგებოდა სამი განყოფილებისაგან. სალამოს, თუმცა ბევრი ნაკლი ემჩნეოდა, მაგრამ საერთოდ მაინც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მუსიკალური ნაწილი სალამოსი შინაარსიანი იყო და უფრო კარგად შესრულებული, ვიდრე ლიტერატურულ—ვოკალური. მომღერალთა გუნდმა ბ. ია კარგარეთელის ხელმძღვანელობით შეასრულა რამდენიმე ქართული სიმღერა: „სამშობლო", „ჩუხჩუხით ჩამორბოდა" და „აღსდეგ გმირთ-გმირო". ეს ორი უკანასკნელი უფრო მწყობრად იქმნა შესრულებული, ვიდრე პირველი. მოწაფემ ბიწკინაშვილმა იმღერა სამიოდე რომანსი და შემდეგ „ურმული", რომლითაც აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი. ბიწკინაშვილს მშვენიერი ხმა აქვს, თუმცა შეუმუშავებელი და იმედებსაც იძლევა, რომ შემდეგ იგი იქნება ერთი დამამშვენებელთაგანი ჩვენის ღარიბის საოპერო სცენისა. მას ბევრი არ მოეთხოვება, რადგან ჯერ არ გაუვლია სკოლა მუსიკალური განვითარებისა, მაგრამ იმისთანა ნაკლის თავიდან აშორება, რომელიც ემჩნეოდა პირველი რომანსის მღერის დროს, ეხლაც შეუძლია, და ჩვენც გულწრფელად ვურჩევთ ამას ყურადღება მიაქციოს, მოწაფე გავაშელაშვილს კარგი ხმა აქვს და სიმღერის უნარიც შესწევს, მაგრამ ამ სალამოს სუსტობდა, რადგან ეს მისი პირველი გამოსვლა იყო. ის აღელდა კიდეც შეკრთა მრავალ რიცხვოვან საზოგადოების წინაშე. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც ბ. ი. კარგარეთელი სემინარიაში ასწავლის გალობას, სემინარიელთა მუსიკალურ ზრდაგანვითარებას წმინდა ქართულ ნიადაგზე მკვიდრი საძირკველი ჩაეყარა. რუსული გუნდის მიერ შესრულებულ სიმღერებიდან აღსანიშნავია „კაკ სლავიატ ბოგა" და „ია პერეჟილ სვაი ჟელანია" ლამაზად ტკბილად იმღერა სოლო პონიმაჩენკომ. არა უშავდა რა „სერენადას" მუს. ბრაგასი, რომელიც დაუკრა ვიოლონზე მოწ. გოტალსკიმ. მოწ. ლეონიძემ სუსტად წაიკითხა საკუთარი ლექსი შაბლონურ კილოზე დაწერილი. კარგი იყო ვ. გორგაძის ლექსები: „პატარა მეხრე" და „სიმღერა", კარგადაც იყო წაკითხული, მხოლოდ უმჯობესი იქნებოდა, რომ მეტი გრძნობათა სიცხოველე შეეტანა წაკითხვაში. ხალხმა სამჯერ გამოიწვია და ტაში შეაწია. რუსული სცენა, გოგოლის ერთ მოთხრობიდან ამოღებული, სუსტად ჩაატარეს. ხმა არც ერთს როლის შემსრულებელს შესაფერი არ ჰქონდა ერთსაც გრიმი არ უვარგოდა. ქართულად ვოდევილი „ორი მშიერი" გვარიანად ითამაშეს, მხოლოდ ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. ვოდევილში გამოყვანილი იყო ჩვენებური მიკიტანი და მშივრები კი ერთმანეთს „ფრანსოს" და „დანტეს" ეძახოდნენ. ეს კი ასუსტებდა შთაბეჭდილებას და მთლიანობას არღვევდა. რა კი ვოდევილში შეტანილი იყო ადგილობრივი ელემენტი მიკიტნის სახით, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, რაკი მთარგმნელს ეგრე გადმოუქართულებია, მაშინ სახელებიც უნდა გამოეცვალა მშივრებისათვის; ეს წვრილმანია, მაგრამ ამას მაინც აქვს მნიშვნელობა: ფრანგულ ვოდევილს რაღაც არ შეეფერება ჩვენებური მიკიტანი. დამსწრე საზოგადოება ბევრი აცინა მოწ. ასლანიკაშვილმა იმერული სცენებით, რომელნიც მან მკვირცხლად და მოხდენილად წაიკითხა შესაფერი გრიმით და ტანისამოსით. სიმებიანმა ორკესტრმა შეასრულა რამდენიმე მუსიკალური პიესა.

საზოგადოებამ ყველა მონაწილენი მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. სალამო გათავდა ღამის 12 $\frac{1}{2}$ სა. შემდეგ დაიწყო ცეკვა-თამაში. ყველა იცინოდა, მხიარულობდა, თვით კედლებიც კი უცინოდნენ იმ სემინარიელთა, რომელთა ცხოვრებაში ასეთი მხიარულება და საზოგადოების წინაშე გამოსვლა, მასთან პირისპირ შეხვედრა, ძლიერ იშვიათია. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა ნაშუაღამევის 4 საათზე.

**ან-მან.**

## პოლიტეხნიკუმის გარშემო.

**წერილი ჩვენი რედაქციის მიმართ და ჩვენი პასუხი.**

სომხურ გაზეთ „კოვკასი ლრაბერ"-ის 4 დეკემბრის ნომერში (273) დაბეჭდილია შემდეგი შინაარსის „ღია ბარათი". „თემის" რედაქტორს. პატივსაცემო რედაქტორო გ. დიასამიძევ! წავიკითხე პოლიტეხნიკუმის თაობაზე ნათარგმნი მოწინავე წერილი საკვირაო გაზეთ „თემისა", რომელიც თქვენი რედაქტორობით გამოდის და რომელიც მე მიმიღია ყოველთვის თანაგრძნობითა. წავიკითხე და გავკვირდი. დიდი ხნის პატივისმცემელი ვარ თქვენი საზოგადოებრივ-პუბლიცისტური მოღვაწეობისა, იმიტომ, რომ გონივრულად უცქერით კავკასიის საკითხებს და კავკასიის ეროვნებათა ურთიერთობას. პატივისმცემელი ვარ აგრეთვე თქვენი ზოგადი შეხედულებისა იმ გარემოებასა და პირობაზე, რომელშიაც იმყოფებიან კავკასიის ყველა ეროვნებათა მშრომელი ელემენტები, მაგრამ დღეს წავიკითხე რა თქვენი წერილი თბილისის დემოკრატიის მიმართ, უცნაური მეჩვენა. პატივსაცემო ბატონო დიასამიძევ! თქვენ აღშფოთებულხართ, რომ კავკასიის მომავალი პოლიტეხნიკუმი უნდა აშენდეს ნავთლუღში და არა საბურთალოზედ. თქვენ დარწმუნებული ხართ, დემოკრატიას ქალაქის თვითმართველობაში, რომ ჰყოლოდა თავისი წარმომადგენლები, პოლიტეხნიკუმის ადგილის ამორჩევის საკითხი სხვაგვარად გადაწყდებოდა. დიაღ! მეცა მრწამს, რომ სხვანაირად გადაწყდებოდა, მხოლოდ არა პოლიტეხნიკუმის საკითხი. გთხოვთ ბრძანოთ, პატივსაცემო მეგობარო, ვისთვის კეთდება ეგ პოლიტეხნიკუმი? ნუ თუ დემოკრატიის შვილებისათვის? სრულიადაც არა! კეთდება მხოლოდ და მხოლოდ თავად-აზნაურებსა და ბურჟუების შვილთათვის, რომელნიც მაგ პოლიტეხნიკუმის დასრულების შემდეგ უნდა სარგებლობას გამორჩენ იმავ დემოკრატიას თავიანთი დიპლომების წყალობით.

„ნუ თუ მაგალითი ცოტაა? და ისე ცოტაც, რომ არ იცოდეთ არა მგონია!.. დემოკრატიისთვის ნამდვილად საჭიროა არა ეგ პოლიტეხნიკუმი, არამედ დაბალი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო და სატეხნიკო სკოლები, ისიც თბილისში კი არა, არამედ მაზრებში, სადაც იმდენი საწყალი, იმდენი ღატაკი ხალხი სცხოვრობს თავიანთი საცოდავი შვილებითა, მიწას, უფლებას, პირველ დასაწყისს სკოლებს, გზებს და მრავალ სხვა რასმეს მოკლებული.

„აი საითკენ უნდა მიემართა დემოკრატიას თავისი შეხედულება, მისი წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ ქალაქის თვითმართველობაში.

„რაკი ესე არ არის, რაკი ვიცით, მომავალი პოლიტეხნიკუმი იმ დემოკრატიის შვილებისათვის არ კეთდება, მე მგონია თქვენთვისაც და ჩემთვისაც სრულიად ერთი და იგივე უნდა იყვეს, თუ სად კეთდება—ქართველ თავად-აზნაურობის შემოწირულ საბურთალოზე, თუ სომეხთა ბურჟუაზიის წარმომადგენელთაგან მოცემულ ნავთლუღში.

„ამიტომ განზედ ჩამოვდგეთ მაგ ბრძოლიდან, ხელ-ახლად ნავთს ნუ დავასხამთ ცეცხლს იმ კოცონისას, რომელიც გაუჩაღებიათ **თავიანთი ხელების მოსათბობად** ორთავ მხრით. სასაცილო ამბავია, როცა იმ ერთმანეთის ღირს საზოგადოებრივ კრებულებს სურთ ილაპარაკონ იმ ხალხის სახელით, რომელიც არც მონაწილეა, არც აზრი აქვს პოლიტეხნიკუმის თაობაზე და რომლის შვილებს ასში ხუთს თუ ათს ძლივს ეღირსება შესვლა მაგ პოლიტეხნიკუმში.

„ყოველ შემთხვევაში, პატივსაცემო მეგობარო, ჩვენ არ შეგვფერის დღეს ჩარევა იმ პაექრობაში, რომელსაც მიუზიდნია სომეხთა და ქართველთა ხალხის პრივილეგია-მოსილი ელემენტები.

ჩვენ მხოლოდ ერთი სიტყვა მოვახსენოთ მათ:

—ბატონებო, გააკეთეთ თქვენი პოლიტეხნიკუმი სადაც გნებავდეთ, მყინვარის თავზე თუ არარატის მწვერვალზედ მხოლოდ თუ ღმერთი გწამთ, მოასვენეთ ჩვენი ხალხთა ის ნაწილი, რომელსაც თქვენი პოლიტეხნიკუმისაგან, ვეკვობთ, რამე სარგებლობა ექმნეთ". თქვენი მეგობარი.

**ა. ათანასიანი.**

**ჩვენი პასუხი.**

პატივცემულო ამხანაგო აშოტ! მე თანახმა ვარ თქვენი რომ დემოკრატია, მის ხელთ რომ ყოფილიყო სახალხო განათლების საქმე, უპირველესად ყურადღებას მიაქცევდა სწორედ იმ სკოლებს, რომელთაც თქვენ იხსენიებთ ჩემდამი მომართულ წერილში.

მაგრამ ამ ჟამად ეს არ იყო გადასაწყვეტი. პოლიტეხნიკუმის დაარსების საკითხი უჩვენოდ გადასწყვიტეს. ჩვენდა საუბედუროდ ამისთანა და ბევრ სხვა საკითხების განხილვის დროს დემოკრატიის ძლიერ ხმას ჯერ-ჯერობით არავინ უწევს ანგარიშს. რაკი გადასწყდა კავკასიის პოლიტეხნიკუმის დაარსების საკითხი, არც ერთი ერის დემოკრატიას არ შეუძლია, ჩემის აზრით, გულ-გრილად უცქიროს მის ბედს. თუ ამ პოლიტეხნიკუმებით დღევანდელ ბურჟუაზიულ ხანაში უმთავრესად სარგებლობენ სხვა და სხვა პრივილეგიით და უპირატესობით შეჭურვილი კლასები, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ასე იქნება და რომ არ დადგება ის დრო, როდესაც ყველა ეროვნებათა დემოკრატია ხელში იგდებს ამ უმაღლეს განათლების გამავრცელებელ საუკეთესო იარაღს. და თუ ეს ბრწყინვალე იმედი გულში გვიღვივის, წარმოიდგინეთ, ამხანაგო აშოტ, რა ნაირად შეიძლება ვთქვათ, რომ დემოკრატიისათვის სულ ერთია, სად, რომელ ადგილას უნდა ააშენონ პოლიტეხნიკუმის შენობა. პოლიტეხნიკუმისთანა სასწავლებლის აგება ადვილი საქმე არ არის და ერთხელვე გაფუჭებული საქმის გამოსწორება შემდეგ მეტად ძნელია.

აი უმთავრესად ეს გვქონდა სახეში, როდესაც საყვედურს გამოვთქვამდით წარსულ წერილში როგორც ქალაქის თვითმმართველობის მოქმედებისა, ისე რეზოლიუციის შინაარსის გამო.

დიაღ! ვეთანხმებით ჩვენ იმაშიაც, რომ ორივე ჩვენი ერის გაბატონებულ კლასების წარმომადგენლებს უნდა მივმართოთ სიტყვით „რომ მოასვენონ ჩვენი ერების ის ნაწილი, რომელიც სრულებით არ თანაუგრძნობს ერთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას და საზოგადოდ შოვინისტურ განგაშს. დამერწმუნეთ, ამხანაგო აშოტ, ორივე ერის წრფელი საზოგადო მოღვაწენი, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის აღმსარებელნი, რომ გაჩუმებული არ იყვენ, მუდამ ხვდებოდენ ერთმანეთს, ეთათბირებოდენ, არ უფარავდენ ერთმანეთს არასფერს და მსჯავრს სდებდენ, მაშინ, უეჭველია, ამგვარ სასირცხო ამბებს, რის მოწმენიც ვართ ახლა, აღარ ექნებოდა ადგილი.

თორემ აბა რა საკადრისია, უბრალო საკითხი—სად უფრო სასარგებლოა აშენდეს პოლიტეხნიკუმი—სწყდება არა მშვიდობიანად, არამედ ნაციონალისტურ საწამლავით გაჟღენთილ ატმოსფერაში!..

დამერწმუნეთ, გულს მიკლავს აგრეთვე, რომ ისეთი ობიექტიური საქმეც კი, როგორიც არის სასოფლო მეურნეობა, იმასაც კი ვუყურებთ ნაციონალისტური თვალსაზრისით.

განა ყურს არ ეხამუშება სახელწოდება: „სომხური სასოფლო მეურნეობის საზოგადოება", „ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება"? თითქო მეურნეობის და ეკონომიურ მოქმედების დარგი მოითხოვდეს ასეთ განაწილებას.

დროა, ჩავუფიქრდეთ ამ გარემოებას, თორემ მომავალი საშინელ სიმწარეს გვიქადის.

ბევრს გაუსწორებელ ოპტიმისტად მივაჩნივარ, მაგრამ, რა ვქნა, სულით და გულით მრწამს, ორივე ერის დემოკრატიის მოღვაწეებმა რომ გულწრფელად მოინდომონ, ბევრი რამ გაკეთდება ჩვენ ორ ხალხთა შორის სოლიდარობის ჩამოგდების საქმეში.

რამდენჯერაც დავკვირვებივარ, ყოველთვის შემინიშნავს, რომ ყოველი უთანხმოება გაჩენილა მხოლოდ იმის წყალობით, რომ მოქიშპენი არ დაახლოვებულან, გული არ გაუხსნიათ ერთმანეთისათვის და საერთო რამ არ უღონიათ.

მაშ, ვიკისროთ ასეთ თათბირების მოწყობა იმგვარ კითხვების გამოსარკვევად, რომელიც გამწვავებას იწვევს ხოლმე ჩვენში.

თუ ამგვარი მიზნით აღჭურვილი ჯგუფები მრავლად დაარსდება ჩვენში, დარწმუნებული ვარ, სოლიდარობაც განმტკიცდება ჩვენს ქვეყანაში.

მომიტევეთ სიტყვის გაგრძელება, მაგრამ თვით საგანი მეტად საგულისხმოა.

თქვენი მარად პატივისმცემელი

**გრიგოლ დიასამიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**გრიგოლ დიასამიძე**


**მოვაჭრეებს, აგენტებს, ვოიაჟერებს,** ვიწვევთ ახალი სორტის მაუდის გასასყიდად. ეს მაუდი საყოველთაოდ გამოსაყენებელია ყველა დროისათვის. **სასარგებლო პირობები და მუდმივი ხელფასი.** პირობები და მიწერ-მოწერა **უფასოა.** მიწერ-მოწერა რუსულად არის საჭირო. Фабрикантъ Х. Олдакъ, Бѣлостокъ № 70. м. 4—1



ხელოვნურად შეზავებული — სამკურნალო და ხილეულობის წყალი

# მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

# გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411. ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

„თემის" რედაქციის გამოცემა.

ს. აბაშელის ლექსთა კრებული

# „მზის სიცილი"

**ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართლის წერილით.**

**ფასი 50 კაპ.**

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიოთ—20 %.

**მისამართი: გაზ. „თემის" კონტორა.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-სპეციალისტები.

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე 11½—12½).<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-1½ს<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **ჯაჯანიშვილი ნ. ნ.** სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 1½—2. |
| ვენერიულ. სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. ვ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ, Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" 914 და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით.

ახალ-ახალი უკანასკნელად გაუმჯობესებული

# გრამოფონები

ОБЩЕСТВО ГРАММОФОНЪ СЪ ОГР. ОТВ.

განყოფილება მთელ კავკასიისათვის, სპარსეთისათვის და იმიერკასპიის მხრისათვის.

თბილისი,

გოლოვინის პროსპექტი, 9; სამხედრო ტაძრის პირდაპირ.


[illegible] სტამბა „სორაპანი". მადათოვის ქუჩა.